# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

**მთავრობის მოამბე**

ყოველდღიური გაზეთი

№ 46 პარასკევი, 20 ენკენისთვე 1918 წ. № 46


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

# „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკის» რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ეროვნულ საბჭოს წევრის, ცნობილ ბელეტრისტ და საზოგადო მოღვაწის

**არსენ მამულაიშვილის (ლალიონის)**

უდროოთ გარდაცვალებას.

## განცხადება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რკინის გზის სამმართველო აუწყებს უკვე შემდგარს არტელს ანუ პირთ, რომლებსაც შეუძლიანთ შეადგინონ პასუხისმგებელი და ძლიერი არტელი სათანადო საწინდრით, რომ დგება არტელი. არტელმა უნდა აწარმოოს, როგორც მთავარი, ისე ლიანდაგის საწყობების საქმეები და გაგზავნა სხვა და სხვა მასალებისა საწყობებიდან. გარდა ამისა, არტელმა უნდა იყოლიოს საკმაო რიცხვი არტელჩიკებისა, კლადოვჩიკებისა, მათი თანაშემწეებისა, მასალის დამტარებელისა, დარაჯებისა და მუშებისა. თხოვნა უნდა შემოიტანონ სამასალო სამსახურში არა უგვიანეს 25 სექტემბრისა 1918 წ. დღის 12 საათამდი.

დაწვრილებით პირობები ჩაბარებისა შეიძლება გაიგონ სამასალო სამსახურის უფროსთან ყოველდღე 9-დან 3-მდის გარდა უქმეებისა. 427 (3—3)

## გადავაკეთებ

**საწერ მანქანების შრიფტსა და სამ ითურებს (კლავიატურას) ქართულს ენაზედ სწრაფად და სწორედ.**

ელისაბედის ქუჩა, სახლი № 90, სადგომი მეორე.

740 შეკვეთა შეიძლება დილით 9-დგან ნაშუადღევის 4 საათამდე. 3-3

პარასკევს, 20 სექტემბერს, **1918** წ. **12** საათზე

## მთავრობის სტამბაში

(ყოფილი ნამესტნიკისა) ლორის-მელიქოვის და კალოუბნის ქუჩების კუთხეში.

## იყიდება ძველი ნივთები:

1) „რეშეტკა“—სამი ცალი. 2) სტამბის კარები—30 ცალი. 3) რიალი 8 ცალი. 4) კანალიზაციისათვის ტრუბები—10 ცალი. 5) ჩამოსაკიდი—„ვეშალკა“—2 ცალი. 6) კარდონის საჭრელი მაშინა. 7) ჟესტის ბანკები. 8) „ობრუჩის“ რკინა—10 ფუთი.

## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია
## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ძხენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

50—20 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

## განცხადება.
## ოზურგეთის მაზრის კომისარი

დაეძებს წერილობითი საბუთებს, რომლებიც დაეკარგა გერმანე იოსების ძე გოგიტიძეს სადგურ სამტრედიაში 6 სექტემბერს ამა წლისა, სახელდობრ: რწმუნების ქაღალდი, მიცემული ოზურგეთის ქალაქის გამგეობისაგან ქალაქის საქმეებზედ, პასპორტის წიგნაკი ოზურგეთის სამაზრო სამმართველოდან, მიცემული 1907 წელში. მპოვნელს სთხოვს საბუთები წარადგინოს კომისარიატში. 430 3—2

## განცხადება
## ქალთა მე-7-ე გიმნაზიაში

(ქალთა ყოფილი ქართული გიმნაზია). გამოცდები დაიწყება 24 სექტემბერს; რადგან გიმნაზია ქალთა ინსტიტუტის შენობაში გადავიდა (ერმოლოვის ქუჩაზე), ამიტომ გამოცდებიც აქვე მოხდება.

## კავკასიის ბანკის გამგეობა

აცნობებს აქციონერებს, რომ ბანკის წესდების § § 54, და 55 თანახმად, კვირას, ოქტომბრის 6, დილის 11 საათზე, ბანკის შენობაში, შტაბის ქუჩა, ქ. ტფილისში დანიშნულია ბანკის აქციონერთა არაჩვეულებრი საერთო კრება. კრების წესრიგი: 1. 1917 წლის წინასწარი დივიდენდის მიცემის შესახებ მსჯელობა. 2. ბანკის განყოფილებათა გახსნა. 3. მიმდინარე საკითხები. ბანკის წესდების მე-51 §. თანახმად საერთო კრებაზე დასწრება შეუძლიათ ყველა აქციონერებს, მაგრამ გადამწყვეტი ხმა კი მარტო იმას აქვს, ვისაც 25-ზე არა ნაკლები აქცია აქვს. კრებაში მონაწილეობის უფლება რომ ექნესთ, აქციების პატრონები ვალდებული არიან წარმოადგინონ ბანკის გამგეობაში ერთი კვირით ადრე აქციები ან საკრედიტო დაწესებულებათა შესაფერი მოწმობები. წესდების მე-52 § თანახმად საერთო კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირადათ აქციონერს ან მის რწმუნებულს, რწმუნებული შეიძლება იყოს მხოლოდ აქციონერი. ვექილობები ხმის მისაცემად უნდა წარედგინოს ბანკის გამგეობას არა უგვიანეს 3 დღისა კრებამდის. აქციების მიღება შესწყდება სექტემბრის 28-ს, დღის 1 საათზე. წესდების მე-56 § თანახმად კრება კანონიერათ ჩაითვლება, როცა მონაწილეობას ღებულობენ აქციონერები ან მათი რწმუნებულები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადი თანხის არა ნაკლებ მეხუთედისას. იმ შემთხვევაში, თუ კრება ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობებს, დაინიშნება მეორე კრება 20 ოქტომბერს, დილის 11 საათზე, იმავე შენობაში. ეს კრება წესდების მე-57 § თანახმად, ჩაითვლება კანონიერად, მიუხედავათ წარმოდგენილი აქციების რიცხვისა.

## განცხადება
## საქართველოს რესპუბლიკის არსენალი

ამით აცხადებს, რომ 25 სექტემბერს 1918 წელსა დღის 11 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საქართველოს არსენალში გასასყიდათ ერთის 20 ძალიანი ლოკომობილისა და დინამო მაშინისა თავის კუთვნილებით. ყიდვის დროს უნდა გადიხადოს მყიდველმა ნახევარი ფასი მასალისა. ქალაქში თავისუფლად გასატარებლად მყიდველს მიეცემა განსაკუთრებითი მოწმობა საქართველოს არსენალისგან. ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება სამეურნეო კომიტეტის კანცელარიაში საქმეთა მწარმოებელთან ყოველ დღე 9—3 საათამდე, სადაც შეიძლება წარდგენა დაბეჭდილი წერილებისა.

არსენალის უფროსი გ. ვ. კაპიტანი გედევანიშვილი.

საქმეების მმართველი შავლაძე.

## ფინანსთა სამინისტრო აცხადებს:

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გროვდება შემოწირულებანი სახელმწიფო ფონდისათვის ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, საჭიროა ამ დიადს საქმეს წეს-რიგი მიეცეს, რამაც უნდა უზრუნველჰყოს შემოწირულებანის დანიშნულებისამებრ გადაცემა. ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შემოწირულებანი მიიღება რესპუბლიკის ყველა ხაზინაში, საიდანაც შემომწირველთ მიცემათ სათანადო ბარათი. ბარათში აღწერილი იქნება შემოწირული ნივთი და აღნიშნული მისი წონა. შემომწირველთა სიას ფინანსთა სამინისტრო გამოაქვეყნებს გაზეთებში. ფონდის მოგროვების დაბოლოვების შემდეგ მთავრობა გამოსცემს განსაკუთრებულ „ოქროს წიგნს“, რომელშიაც შეტანილი იქნება შემომწირველთა სახელი და გვარი. კერძო პირთ შემოწირულებანის მიღება შეუძლიანთ იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის მოწმობა და სათანადო ბარათების წიგნაკები, რომლის მიღება შეიძლება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს კანცელარიაში. მიღებული შემოწირულებანი დაუყონებლივ უნდა იქნეს შეტანილი ადგილობრივ ხაზინაში.

## განცხადება
## საქართველოს დემოკ. რესპუბ. რკინის გზის სამმართველო

აუწყებს უკვე შემდგარს არტელს ანუ პირთ, რომლებსაც შეუძლიანთ შეადგინონ პასუხისმგებელი და ძლიერი არტელი სათანადო საწინდრით, რომ დგება არტელი. არტელმა უნდა აწარმოოს, როგორც მთავარი, ისე ლიანდაგის საწყობების საქმეები და გაგზავნა სხვა და სხვა მასალებისა საწყობებიდან. გარდა ამისა, არტელმა უნდა იყოლიოს საკმაო რიცხვი არტელჩიკებისა, კლადოვჩიკებისა, მათი თანაშემწეებისა, მასალის დამტარებელისა, დარაჯებისა და მუშებისა. თხოვნა უნდა შემოიტანონ სამასალო სამსახურში არა უგვიანეს 25 სექტემბრისა 1918 წ. დღის 12 საათამდი. დაწვრილებით პირობები ჩაბარებისა შეიძლება გაიგონ სამასალო სამსახურის უფროსთან ყოველ დღე 9—3 ს. გარდა უქმეებისა. 758 2—2

## ქართული კლუბი

კვირას, 22 სექტემბერს,

დანიშნულია ეროვნული **კონცერტი** კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილისა.

სამი განყოფილებით. შესრულებულ იქნება მის გაძლიერებულ გუნდის მიერ

**ეროვნული სიმღერები და ჰიმნები სიმფონიურ ორკესტრით.**

მონაწილეობას იღებენ: კომპოზიტორი მ. ი. ბალანჩივაძე, მომღერალნი ქ-ნი კალანდაძე, ბ-ნი ჭუმბურიძე. დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 449 3—1

# სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—9 წ.

ნ. ლ. ლევიცკის დირექცია.

პარასკევს, 20 სექტემბერს 1918 წ.

მუსიკა ბიზე. „კარმენი“ ოპერა 4 მოქმ.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ველევანოვისა, გარინსკაია, ვლადინა, სპიტკო; ბ-ნნი: ბერიოზინი, ზუბარევი, ისეცკი, კურბატოვი, ეზროვი, ინაევი. დირიჟორი ჩერეპინი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კასა ღიაა დილის 10—2 საათამდე და 6-დან წარმოდგენის ბოლომდე. ანონსი: შაბათს, 21 ენკენისთვეს „ტანჰეიზერი“, კვირას, 22 სექტ.—„რიგოლეტო“. ორშაბათს, 23 სექტემბ.—„ევგენი ონეგინი“.



გამოვიდა და იყიდება

უნივერსიტეტის

და

თეატრის

**5.000.000 მან.**

ლოტარიის

ბილეთები

ბილეთი ღირს 25 მან.

პირველი მოგება 100.000 მან.

ბილეთები იყიდება იქ, სადაც გამოცხადებულია.

412 60—5



ექიმი ი. კ. აზაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.


## ოფიციალური განყოფილება

### კანონი

საქართველოს რესპუბლიკის დროშისა.

1. საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელის (შვინდის ფერის) შავის და თეთრის ფერისა.

2. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი, (შვინდის ელფერისა) შავი და, თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს.

1918 წ. სექტემბრის 10-ს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### კანონი

განათლების სამინისტროს ორგანიზაციისა და შტატისა.

1. დამტკიცდეს დებულება განათლების სამინისტროს ორგანიზაციისა და მისი შტატისა.

2. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან ამა კანონის 1 მუხლში აღნიშნული შტატის განსახორციელებლად ამა წლის ივლისის პირველიდან წლის დამლევამდე—ას სამოცდა ოთხი ათას ორასი (164.200) მანეთი.

1918 წ. სექტემბრის 6.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### დებულება

განათლების სამინისტროს ორგანიზაციისა და შტატისა.

1. განათლების სამინისტროს შეადგენენ:

ა. მინისტრი, ბ. მისი ამხანაგი, გ. მინისტრის საბჭო, დ. სამინისტროს სამი განყოფილება—განყოფილება უმაღლესისა და საშუალო სკოლებისა, განყოფილება სახალხო სკოლებისა და განყოფილება საპროფესიო სკოლებისა, ე. კანცელარია თავისი შტატით.

2. მინისტრი არის მთავარი გამგე განათლების სამინისტროსი და მას ევალება ზედამხედველობა და მთავარი ხელმძღვანელობა ყოველგვარ სკოლისა კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

3. მინისტრის ამხანაგი არის უახლოესი თანაშემწე მინისტრისა და ასრულებს მისს თანამდებობას მისი სხვაგან ყოფნისა ანუ ავადმყოფობის დროს.

მინისტრის საბჭო.

4. მინისტრის საბჭოს შეადგენენ მინისტრის თავმჯდომარეობით—მინისტრის ამხანაგი, სამი განყოფილების მთავარი გამგეები, კანცელარიის დირექტორი, თითო წარმომადგენელი უნივერსიტეტისა, საქალაქო და საერობო თვითმართველობათა კავშირისა, აგრეთვე მასწავლებელთა კავშირისა და ის სპეციალისტები, რომელთა მოწვევასაც საჭიროდ დაინახავს მინისტრი.

შენიშვნა: 1. მინისტრი, მისი ამხანაგი, სამი განყოფილების მთავარ გამგეები და კანცელარიის დირექტორი არავითარ დამატებითს სასყიდელს არ მიიღებენ საბჭოს წევრობისათვის.

II. საბჭოს სხვა წევრს მუდმივსა თუ განსაკუთრებული შემთხვევისათვის მოწვეულს სხდომაზე დასწრებისათვის, მიეცემა მინისტრის მიერ განსაზღვრული სასყიდელი.

5. მინისტრის საბჭოს ევალება—განსახილველად:

ა. საერთო ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვა სამინისტროსი.

ბ. ყოველწლიური ანგარიში, როგორც სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებისა, აგრეთვე ყველა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულების, რომლებიც სამინისტროს განკარგულებაშია;

გ. საქმე და მოსაზრება, რომელიც მოითხოვს ან ახალ დაწესებულების დაარსებას ან მართვა გამგეობის სხვა და სხვა ნაწილის არსებითს ცვლილებას;

დ. კანონების შესწორება, განმარტება, დამატება და გაუქმება.

ე. ახალ სკოლების მოწყობა და დაარსება;

ვ. სამეურნეო საქმე, რომლის გადაწყვეტა აღემატება განათლების სამინისტროს ხელქვეით პირთა და დაწესებულების უფლებას.

ზ. საქმე, რომელიც შეეხება სკოლების შინაგან წესწყობილებას და შინაგან მართვა-გამგეობას,

ჰ. საქმე, რომელიც აღიძვრის სამინისტროს საჩივრით კერძო პირისა ან დაწესებულების წინაღმდეგ ან არა და კერძო პირისა და დაწესებულების საჩივრით სამინისტროს წინააღმდეგ;

თ. საერთოდ ყოველი საქმე, რომელსაც მიიჩნევს საჭიროდ მინისტრი, რომ საბჭომ განიხილოს.

სახალხო სკოლების განყოფილება.

6. სახალხო სკოლების განყოფილების სათავეში სდგას მთავარი გამგე სახალხო სკოლებისა.

7. ამ განყოფილების მთავარ გამგეს ევალება ყოველი საქმე, რომელიც შეეხება სახალხო სკოლებს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

ა. შემუშავება და შედგენა სახალხო სკოლების ხარჯთ აღრიცხვისა.

ბ. სახალხო სკოლების ადმინისტრატიული რევიზია.

გ. სახალხო სკოლების პედაგოგიური რევიზია.

დ. წარმოდგენა მოსაზრებისა სახალხო სკოლების რეორგანიზაციისა.

განყოფილება უმაღლეს და საშუალო სკოლებისა.

8. უმაღლეს და საშუალო სკოლების განყოფილების სათავეში სდგას სკოლების მთავარი-გამგე.

9. ამ განყოფილების მთავარ გამგეს ევალება ყოველი საქმე, რომელიც შეეხება უმაღლეს და საშუალო სკოლებს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

ა. შემუშავება საშუალო სკოლების ხარჯთაღრიცხვისა.

ბ. უმაღლეს სკოლების სამეურნეო რევიზია და საშუალო სკოლების ადმინისტრატიული რევიზია.

გ. საშუალო სკოლების პედაგოგიური რევიზია.

დ. წარმოდგენა მოსაზრებებისა საშუალო სკოლების რეორგანიზაციისა.

ე. შემუშავება პროექტებისა ახალ საშუალო სკოლათა მოწყობისა და დაარსებისა.

განყოფილება საპროფესიო სკოლებისა.

10. საპროფესიო სკოლების სათავეში სდგას მთავარი-გამგე ამ სკოლებისა.

11. ამ განყოფილების მთავარ გამგეს ევალება ყოველი საქმე, რომელიც შეეხება, საპროფესიო სკოლებს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში.

ა. შემუშავება და შედგენა საპროფესიო სკოლების ხარჯთ-აღრიცხვისა.

ბ. საპროფესიო სკოლების ადმინისტრატიული რევიზია.

გ. საპროფესიო სკოლების პედაგოგიური რევიზია.

დ. წარმოდგენა მოსაზრებისა საპროფესიო სკოლების რეორგანიზაციისა.

ე. შემუშავება პროექტებისა ახალ საპროფესიო სკოლების მოწყობისა და დაარსებისა.

წესი სამინისტროს მოხელეთა გამწესებისა და დათხოვნისა.

1. განყოფილების მთავარ გამგეს და კანცელარიის დირექტორს და მინისტრის მდივანს დანიშნავს და დაითხოვს სამსახურიდგან მინისტრი.

2. კანცელარიის დანარჩენ მოხელეთა დანიშვნის და დათხოვნის, აგრეთვე საერთო საქმის წარმოების წესი განსაზღვრული იქნება ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

1918 წ. სექტემბრის 6.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## შტატი

განათლების სამინისტროსი და 1918 წ. ხარჯთაღრიცხვა.

| № რიგზე. | თანამდებობა და საგანი ხარჯისა. | რიცხვი თანამ. პირთა. | თითოეულს. თვიურად. მან. | თითოეულს. წლიურად. მან. | ყველას. თვიურად. მან. | ყველას. წლიურად. მან. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მინისტრი | 1 | 1500 | 18000 | 1500 | 18000 |
| 2 | მინისტრის ამხანაგი | 1 | 1350 | 16200 | 1350 | 16200 |
| 3 | განყოფილების მთავარი გამგე | 3 | 1000 | 12000 | 3000 | 36000 |
| 4 | კანცელარიის დირექტორი | 1 | 1000 | 12000 | 1000 | 12000 |
| 5 | დირექტორის თანაშემწე | 1 | 750 | 9000 | 750 | 9000 |
| 6 | მინისტრის მდივანი | 1 | 600 | 7200 | 600 | 7200 |
| 7 | საქმის მწარმოებელი | 3 | 600 | 7200 | 1800 | 21600 |
| 8 | ბუხგალტერი | 1 | 600 | 7200 | 600 | 7200 |
| 9 | საქმის მწარმოებლის თანაშემწე | 3 | 500 | 6200 | 1500 | 18000 |
| 10 | ბუხგალტერის თანაშემწე | 1 | 500 | 6000 | 500 | 6000 |
| 11 | რეგისტრატორი | 1 | 400 | 4800 | 400 | 4800 |
| 12 | ხუროთ-მოძღვარი | 1 | 800 | 9800 | 800 | 9600 |
| 13 | მანქანით გადამწერი | 10 | 400 | 4800 | 4000 | 48000 |
| 14 | ეკზეკუტორი | 1 | 400 | 4800 | 400 | 4800 |
| 15 | უმცროსი მოსამსახურე | 10 | 300 | 3600 | 3000 | 36000 |
| | ჯამი | 39 | — | — | 21200 | 254400 |

სხვა და სხვა საერთო ხარჯი:

1. საკანცელარიო . . . . . 30000 მან.
2. საგზაო . . . . . 15000 მან.
3. ბინის ქირა გათბობა და განათლება . . . . . 14000 მან.
4. მინისტრისაგან მოწვეულ მცოდნე პირთა სასყიდელი . . . . . 15000 მან.

ჯამი . . . 74000 მან.

საერთო ჯამი წლიურად . . . . . 328400 მან.

აქედან საჭიროა ექვსი თვის განმავლობაში.

(1 ივლისიდან წლის დამლევამდე) . . . . . 164200 მან.

1918 წ. სექტემბრის 6-ს.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო უწყების შამართ.

6 სექტემბერს, 1918 წ.

№ 66.

§ 1.

კანონმდებლობითის წესით განხილვამდე და დამტკიცებამდე ვაცხადებ ჯარებში დროებით სახელმძღვანელოდ „სადისციპლინო წესდების პროექტის“ შემდეგს მუხლებს:

თავი II.

სადისციპლინო ცდომების და სასჯელების შესახებ.

7. სადისციპლინო სასჯელი ისეთი სასჯელია, რომელიც მიესჯება სასამართლოს დაუდგენლად უფროსის უფლებით.

8. სადისციპლინო სასჯელი მიესჯება საზოგადოდ ყოველნაირის მცირემნიშვნელოვანის ცდომებისათვის, რომელნიც ჩადენილნი იქნებიან როგორც სამსახურის დროს, ისე საზოგადოებრივის წესიერების და მშვიდობიანობის დარღვევის დროს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის ცდომებისთვის დამნაშავენი წესით არ მიიცემიან სასამართალში.

9. სადისციპლინო სასჯელის მისჯის უფლება აქვთ იმ უფროსებს, რომელთა გამგებლობაშიც იმყოფებიან დამნაშავენი, ან რომელთაც ისინი ემორჩილებიან სამსახურის წესით თუნდაც დროებით.

10. სადისციპლინო სასჯელის მისჯის ძალაუფლება, რომელიც მიკუთვნებული აქვს უმცირესის ხარისხის უფროსებს, ყოველთვის ეკუთნის უმაღლესის ხარისხის უფროსებსაც.

14. ოფიცრებს, სამხედრო მოხელეებს და ჯარისკაცებს შეიძლება მიესაჯოს შემდეგი სადისციპლინო სასჯელები:

1) საყვედური, გამოცხადებული სიტყვიერად ან ბრძანებაში.

2) უჯეროდ დანიშვნა სამსახურის საწევარში არა უმეტეს 6 საწევარისა.

3) შინაური დატუსაღება ვადით არა უმეტეს 3 კვირისა.

4) დატუსაღება ვადით არა უმეტეს 2 კვირისა.

შენიშვნა მეოთხე მუხლისა. ტუსალად ყოფნაში გატარებული დრო არ ჩაეთვლება ნამდვილის სამსახურის საერთო ვადაში, დღე დღეში.

15. დატუსაღება მდგომარეობს შემდეგში:

1) შინაური დატუსაღება ჯარისკათათვის—აკრძალვა თავისუფალს დროს კაზარმიდან გასვლისა ან ეზოდან გასვლისა, ხოლო ოფიცერთათვის აკრძალვა სამსახურის გარეშე დროს სადგომის მიტოვებისა. შინაურს დატუსაღებასთან განუყრელია სამსახურის მოვალეობის ასრულება.

2) დატუსაღება ჯარისკაცთათვის—დამყოფება ნათელ ოთახში თვითეულისა ცალ-ცალკე, ხოლო ოფიცერთა, ფელდფებელთა და ვადაგასულთ უნტერ-ოფიცერთათვის დამყოფება მთავარ საყარაულოში ან ცალკე ოთახში პოლკთან, მორიგის ოფიცრის მზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დველობის ქვეშ, ამასთან ფელდფებლები და ვადაგასული უნტერ-ოფიცრები, ყოველს შემთხვევაში, იმყოფებიან გაცალკავებით როგორც ჯარისკაცთაგან ისე ოფიცერთაგან.

3) განსაკუთრებულს შემთხვევაში მთავარსაყარაულოში ან პოლკთან ცალკე ოთხში დატუსაღებულთ შეიძლება მიეჩინოს ყარაული.

4) დატუსაღებულთ მთავარ საყარაულოში ან პოლკთან ცალკე ოთახში ჩამოერთმევა მათდამი მიკუთნებული ცივი იარაღი და ინახება დატუსაღების მთელის ხნის განმავლობაში ნაწილის კანცელარიაში.

5) საყვედური ჯარისკაცებს ეცხადებათ ყოველთვის მწყობრის წინაშე, ოფიცრებს კი ან ოფიცრთა კრებაში ან წერილობით ბრძანებაში ნაწილისადმი.

6) იმ შემთხვევაში, როდესაც ლაშქრობის დროს ან ჯარების დაბინავების ადგილის გამო, ტუსაღად დამყოფება შეუძლებელი იქნება, დატუსაღება შეიცვლება ჯერის გარეშე სამსახურის საწევარში დანიშვნით, ისე კი რომ მას არ უნდა მოჰყვეს შედეგად ის, რაც აღნიშნულია 14 მუხლის შენიშვნაში.

თავი III.

სადისციპლინო სასჯელების მისჯაში უფროსების ძალფლობის ხარისხის შესახებ.

20. განყოფილების უფროსები, დასტის უფროსები, ფელდფებლები და როტის ოფიცრები, მათ ხელქვეითის ჯარისკაცების ყველა ცდომების შესახებ მოახსენებენ ხელქვეითობის წესით თავიანთ როტის უფროსს დამნაშავისთვის სადისციპლინო სასჯელის მისასჯელად.

21. როტის უფროსებს და კომანდის უფროსებს აქვთ უფლება:

1) გამოუცხადონ სიტყვიერად საყვედური,

2) დანიშნონ უჯეროდ სამსახურში 3 საწევრამდე.

3) შინ დაატუსაღონ 2 კვირამდე.

4) დაატუსაღონ 5 დღე და ღამემდე.

22. ბატალიონის უფროსებს (არა ცალკე ბატალიონის) აქვთ უფლება:

1) დანიშნონ უჯეროდ სამსახურში 6 საწევრამდე.

2) შინ დატუსაღონ 3 კვირამდე.

3) დაატუსაღონ 7 დღე და ღამემდე.

შენიშვნა: ამავე უფლებებით სარგებლობენ სამეურნეო ნაწილის უფროსები (ინტენდანტები).

23. პოლკის უფროსისის თანაშემწეს თავის ხელქვეითის ხარისხოსნების მიმართ აქვს უფლება დატუსაღებისა 10 დღე და ღამემდე.

24 პოლკის უფროსს (ნაწილის უფროსს) აქვს უფლება:

1) გამოუცხადოს საყვედური ბრძანებაში ნაწილის მიმართ.

2) დაატუსაღოს 2 კვირამდე.

36. უმცროსის მიერ, უფროსის წინაშე, სამხედრო სამსახურის და დისციპლინის წესრიგის დარღვევისათვის და ზრდილობიანობის და სამხედრო ხარისხთ-პატივისცემის წესების დაუცველობისთვის, უფროსი მოვალეა უმცროსს გაახსენოს, ხოლო საჭირო შემთხვევებში, დაუყონებლად შეატყობინოს საკომენდანტო სამმართველოს ან სათანადო სამხედრო უფროსს შესაბამის განკარგულების მოსახდენად.

37. იმ შემთხვევებში, რომლებიც აღნიშნულნი არიან ამ წესდების 36 მუხლში უფროსი ყოველთვის მოვალეა უმოკლესს ვადაში შეატყობინოს მომხდარი ამბავი დამნაშავის სამხედრო უფროსს.

სამხედრო მინისტრი გ ი ო რ გ ა ძ ე.

## შრომის სამინისტროს საყოველთაო განკარგულება 18 ენკენ. 1918 წ.

შრომის სამინისტრო ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ახალსა და ძველის სტილ ით დღესასწაულთა უქმობის საკითხის გადასაწყვეტად, მთავრობის დადგენილებისამებრ შესდგა ყველა უწყების წარმომადგენელთა კომისია ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ კომისიის მუშაობის დამთავრებამდე ცხადდება: შობამდე დღესასწაულებად ითვლება შემდეგი უქმე დღეები, როდესაც მუშაობა არ უნდა სწარმოებდეს:

1) შობა ყოვლად წმიდის ღვთის მშობლისა 21 ენკენისთვეს (ძველი სტ. 8 ენკენისთვეს).

2) ჯვართ-ამაღლება 27 ენკენისთვეს (ძვ. სტ. 14 ენკენისთვეს).

3) ღვთისმშობლის ტაძრათ მიყვანება 4 დეკემბერს (ძველი სტ. 21 ნოემბერს).

ის პირნი, დაწესებულებანი და უწყებანი, რომელთაც 8 და 14 ენკენისთვე ახალი სტილით იუქმეს, ვალდებულნი არიან 21 და 27 ენკენისთვეს იმუშაონ.

შრომის მინისტრის ამხანაგი ე რ ა ძ ე.

საქმეთა მმართველი ნ. ა ხ მ ე ტ ე ლ ი.

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 20 ენკენისთვე.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის შესახებ, რომელიც უკვე გამოქვეყნდა გუშინ, 19 ენკენისთვეს.

ამ კანონის ძალით საქართველოს ეროვნულ საბჭოში 26 წარმომადგენლის არჩევის უფლება აქვს იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობს და საქართველოს მოქალაქეთაგან შესდგება.

ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელთა განაწილება, კანონის მოთხოვნილებით, ხდება შემდეგ ნაირათ: სომხებს ათი წარმომადგენელი, თათრებს ოთხი, აფხაზებს სამი, რუსებს, ოსებს და ქართველ ისრაელებს ორ-ორი, ებრაელებს, ბერძნებს და გერმანელებს თითო-თითო.

კანონის ჩვენებითვე ეროვნულ უმცირესობითა წარმომადგენლები ირჩევიან თავ-თავის ეროვნულ საბჭოთაგან, რომელნიც შესდგებიან საქართველოს მოქალაქეთაგან და მოქმედებენ რესპუბლიკის საზღვრებში. ხოლო სადაც ასეთი საბჭო არ არსებობს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრის გამოგზავნის უფლება ეძლევათ ამ ერის წარმომადგენლებს, რომელნიც არჩეულნი არიან რესპუბლიკის სხვა და სხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში.

ასეთია მიღებული კანონის არსებითი მხარე. თავის თავად ცხადია, ეროვნულ უმცირესობათა ამ გვარ განცალკევებულ წარმომადგენლობას ადგილი ექნება საქართველოს ეროვნულ საბჭოში, რომელიც დღეს ჩვენი საკანონმდებლო დაწესებულებაა, საქართველოს პარლამენტია.

ხოლო საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმოშობა განსაკუთრებულ პირობებში მოხდა და იგი დაუთმობს ადგილს სრულიად საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომლის მოსაწვევათ უკვე მიღებულია ზომები, მუშავდება წესები და მზადდება პირობები.

დამფუძნებელ კრების არჩევნებში და მის მიერ აღიარებულ და წარმოშობილ საკანონმდებლო დაწესებულებაში, თავისთავად იგულისხმება, მონაწილეობას მიიღებს ერთნაირი საყოველთაო დემოკრატიული წესის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე განურჩევლათ სარწმუნოებისა, ეროვნებისა, სქესისა და სოციალურ მდგომარეობისა.

შესაძლებელია მაშინ პარლამენტში პარტიათა და ერთა წარმომადგენლების ძალთა განწყობილება რამოდენიმეთ განსხვავებული იქნას იმისაგან, რასაც დღევანდელი სინამდვილე და კანონი გვიჩვენებს. შეიძლება ერთი-ორი დეპუტატით მეტი ან ნაკლები იქნეს ესა თუ ის წარმომადგენლობა. მაგრამ შედარებით და დაახლოვებით ძალთა განწყობილება სისწორით არის გამოსახული. და თავი და თავი, აუცილებელი და შესაძლებელი დღევანდელ გარდამავალ პირობებში სწორეთ ეს არის.

ახლა ვისურვოთ, რომ ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული და მთავრობის მიერ გამოქვეყნებული კანონი მალე განხორციელდეს და საქართველოს პარლამენტს საშუალება მიეცეს რაც შეიძლება სავსებით გამოხატოს საქართველოს მთელი ხალხის საჭიროება და დაუბრკოლებლათ განაგრძოს თავის სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო შემოქმედება.

თვით ეროვნული უმცირესობანი არსებითად დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ამ საქმის დაგვირგვინებაში და თავის მხრით ყოველი ძალ-ღონე უნდა იხმარონ თავის წარმომადგენლების გასაგზავნათ საქართველოს საერთო პარლამენტში გამოქვეყნებული კანონის თანახმად.

საქართველოს რესპუბლიკა ჩვენი საერთო სამშობლოა, საერთო სახელმწიფოა, საზოგადო დემოკრატიული სამკვიდრებელია, რომლის წარმატება, განმტკიცება და კეთილდღეობა ყველა მოქალაქის სამღვთო მოვალეობას შეადგენს.

## ძალა-უფლების საკითხი

რევოლუცია ძალა უფლების და ხელმწიფების საკითხის ერთი გადამჭრელთაგანია.

27 თებერვალს რუსეთის ხალხმა ერთი ხელისკვრით უფსკრულს გადასჩეხა სისხლიანი ნიკოლოზის მთავრობა და ძალაუფლება ხელთ იგდო. ამ უდიდესი აქტის შემდეგ არსებითად და ფაქტიურათ სხვა და სხვა დარგის უზარმაზრი ორგანიზაციები შეიქნენ ძალაუფლების პატრონნი. ბევრს ლაპარაკობდენ მაშინ მრავალმთავრობიანობაზე და ძალაუფლების დაქუცმაცებაზე. მთავრობა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო მიუხედავათ კომპრომისულ დადგენილებისა, ერთმანეთს ეჯახებოდენ და ეს საკითხი ძალაუფლების შესახებ ფაქტიურათ მაინც კონფლიქტს იწვევდა. პროფესიონალური ორგანიზაციები, რომელიც ძალაუფლების ორგანოთ იქცენ, უკან აღარ იხევდენ და ხელმწიფების დათმობაზე აღარც კი ფიქრობდენ. ბოლშევიკურმა მოძრაობამ და 25 ოკტომბრის გადატრიალებამ ეს საკითხი საბოლოოთ გადასწყვიტა და ძალაუფლება მუშათა ორგანიზაციების საბჭოების ხელში განმტკიცდა, თუმცა დაბოლოს სინამდვილეში მოქალაქეებს საქმე ქონდათ მხოლოდ ლენინის და მისი კამარილიის დიქტატურასთან. ეს რუსეთში.

ამიერ-კავკასიაში, ისე როგორც რუსეთში, ეს მწვავე საკითხი მუდამ იდგა და მის გარშემო დიდი, ცხარე ორომტრიალი იყო გამეფებული. ამიერ-კავკასიის კომისარიატის სისუსტეს სწორეთ მის ძალაუფლების სიმცირეში ხედავდენ. აღმასრულებელი კომიტეტი, რკინისგზის კომიტეტი, ადგილობრივი—პროვინციალური კომიტეტები და სხვა თვით იყვნენ აღჭურვილნი ძალაუფლებით და მთავრობა ზოგიერთ შემთხვევაში სრულ არარაობას წარმოადგენდა. უჯარო და უმილიციო იყო მთავრობა, რადგან პირველიც და მეორეც მხოლოდ თავის კომიტეტებს ემორჩილებოდენ. მთავრობა იყო ჰაერში გამოკიდებული და მხოლოდ მორალური გავლენას მიმართავდა. და ისე გარდაიცვალა ამიერ-კავკასიის კომისარიტი, რომ მას ძალაუფლება ამ სიტყვის მთელი მნიშვნელობით არ უნახავს.

ეს ასე იყო მაშინ,—ამიერ-კავკასიის ფარგლებში დროთა ვითარებამ, პირობებმა თავისი ცივი მოთხოვნილებებით ძალაუფლების საკითხში თავისი გაიტანა და ლოზუნგათ წარმოიშვა:

მთელი ძალაუფლება მთავრობას. ეს საკითხი პრინციპიალურათ დროზე გადაიჭრა და ნელ-ნელ პრაქტიკაშიც ძალაუფლების კონცენტრაცია მთავრობის სასარგებლოთ ხდებოდა.

საქართველოს რესპუბლიკაში ძალაუფლების საკითხი სავსებით გადაწყვეტილია. მთელი ძალა-უფლება მთავრობის ხელში—ასეთი იყო და არის ჩვენი მიმართულება. ჩვენი ცხოვრების დღევანდელ პირობებში ეს კატეგორიულ—იმპერიალისტური მოთხოვნილებაა. ამ სწორ გზას ადრე აულეს ალლო დიდმა ორგანიზაციებმა და ძალაუფლებაზე უარი განაცხადეს. ყველა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ძალა-უფლებით იყვენ აღჭურვილნი, საკანონმდებლო და საადმინისტრაციო მოღვაწეობას ეწეოდენ, უკვე თავი დაანებეს მას და იცნეს ერთად ერთი ორგანო—კანონმდებელი—ეროვნული საბჭო და მისი აღმასრულებელი ორგანო—მთავრობა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დიდი ორგანიზაცია, რომელსაც საკანონმდებლო—საადმინისტრაციო ფუნქციებზე ხელი არ აეღოს და თავის წმინდა პროფესიონალურ კალაპოტში არ ჩამდგარიყოს. ეს დიადი მოვლენა იყო ჩვენს ცხოვრებაში. დაეს მოვლენა ისე უმტკივნეულოთ მოხდა, რომ არავითარ კონფლიქტს და შეჯახებას ადგილი არ ქონია ეს აიხსნება ჩვენი მოწინავე დემოკრატიის მიერ თანამედროვე მომენტის სრული შეგნებით და მდგომარეობის გათვალისწინებით. ჩვენს მოწინავე დემოკრატიას კარგათ ესმის თავისი მოვალეობა საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებაში და დემოკრატიული მთავრობის გამაგრებისათვის. იქ, სადაც თვით დემოკრატიის რჩეულთ უპყრავთ ხელში ძალა უფლება, იქ, სადაც დემოკრატიის დაკოჟრილი ხელებით შენდება დემოკრატიული სახელმწიფო და დემოკრატიის გულ-გრდემლზე იჭედება თავისუფლება, იქ მთელი მოქმედების, მთელი მუშაობის, შემოქმედების და ენერგიის კონცენტრაცია საჭირო და აუცილებელია.

და თუ სადმეა კიდევ დარჩენილი ისეთი ორგანიზაცია, რომელიც თავის პროფესიონალურ წრეს სცილდება და ძალაუფლებას ეპოტინება,—დროა თავის საკუთარ კალაპოტში მოთავსდეს და თავის საკუთარ საქმეს გაუძღვეს.

## პრესის მიმოხილვა.

ქართველ ერის გული ერთმა მეტად სიმპტომატიურმა მოვლენამ კვლავ გაახარა. ეს გახლავთ: საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. ამის შესახებ „ბორბა“ სწერს:

როგორც სჩანს გერმანიის გავლენა ამ საკითხში იმდენად ძლიერი იყო, რომ „სოვნარკომ“-ს არ შეეძლო „არ ეცნო“ ამ შემთხვევაში „ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპები“.

მისი „ცნობა“ კვლავ ამტკიცებს იმას, რომ გერმანია დაინტერესებულია საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობაში.

ამასვე მოწმობს ისიც, რომ გერმანიამ გამოყო საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემა კავკასიის სხვა პრობლემებიდან, გამოყო და პირველ რიგში წამოაყენა.

ჩვენ გვწამს, რომ გერმანიის მთავრობის ოფიციოზში „Norddeutsche Allgemeine Zeitung-ში გამოქვეყნებული ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანი დოკუმენტი მარად სახსოვარი იქნება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის გვსურს დავიჯეროთ ისიც რომ ახლა მაინც დაჰყრიან იარაღს ჩვენი რესპუბლიკის ჭერქვეშ შემოფარებული, ხოლო ჩვენ დამოუკიდებლობის უარმყოფელი ელემენტები...

* * *

ჩვენი ცხოვრების ჩარხმა უკვე წაღმა იბრუნა პირი. ამას გვაფიქრებინებს სხვათა შორის ახლახან გამოქვეყნებული „სამუსულმანო საქართველოს გამთავისუფლებელ კომიტეტის მოწოდება“.

ამ კომიტეტის საერთო მოქმედების შესახებ „სახალხო საქმე“. სწერს:

სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს მიზნად დაუსახავს აჭარაში იქადაგოს, რათა მიცეს სამაჰმადიანო საქართველოს, რომელიც დღეს ოსმალეთის ხელშია—თვითმართველობა, მიეცეს ნება თავისი საქმეები ისე განაგოს და გადასწყვიტოს, რანაირადაც ხალხის ძალდატანებითი კი არა, ჭეშმარიტი ნებისყოფა მოითხოვს. და ჩვენ არ შეგვიძლიან დაშორებულ ძმებს არ ვუძღვნათ ჩვენი მხურვალე თანაგრძნობა იმ დიად საქმეში, რომელიც მათ დაუწყიათ. მოწოდებაში ნათქვამია, რომ კომიტეტმა „მოლაპარაკება გამართა დიდ სახელმწიფოებთან, რომლებიც შეგვპირდნენ ბრესტ-ლიტოვსკის პირობის შესრულებასო“, ე. ი. ჯარის გაყვანას და თავისუფალ რეფერენდუმის მოხდენას. საქართველოს მთავრობის მოვალეობაა და იგი ამ მხრით მუშაობს კიდევაც, რომ ეს ასე მოხდეს. ეს იქნება პირველი ნაბიჯი საქართველოს გაერთიანებისაკენ გადადგმული. თავისუფალი სამუსულმანო ჩქარა შეიგნებს თავის ცხოველ ინტერესებს და ბოლოს და ბოლოს იგი ისევ დაუბრუნდება თავის მშობლიურ კერას. და ამ საქმისათვის მომუშავე ზემოხსენებული კომიტეტი ღირსია თანაგრძნობისა და ყოველგვარ დახმარებისა.

## თურქული პრესა.

თბილისის გაზეთ „გელეჯეგ“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის შესახებ:

„დღევანდლამდე და ახლაც კი ზოგიერთ ჩვენს წრეებში როცა ადერბეჯანს „დამოუკიდებლობის“ სახელწოდებით მოიხსენიებენ, ეს დიდს მღელვარებას იწვევს.

მერე რისთვის?

დამოუკიდებლობა განა სირცხვილი არის? სრულიადაც არა! არც უკანონობა არის ეს, არც უწეს-რიგობა და არც უხამსობა. პირიქით დამოუკიდებლად ყოფნა ნიშნავს საკუთარი თავის თავის მოვლის, თავის თავის პატრონობას და თავის სუვერინიტეტს, გაქვეყნებას და სახელმწიფოებრივ ორგანოდ გახდომას, და სხვა სახელმწიფოებთან და ერებთან დამოუკიდებლად ცხოვრებასა.

ჩვენი ადერბეიჯნის წრეები ნეტა რად ურბიან ამ საპატიო მდგომარეობას?

ჩვენ ბავშვებივით ვიძახით: ვისთანა ვართ, ვისთანა ვართო. ესე იგი უნდა მაგრად თავში ჩაგვცხონ, რუსებმა, ნემცებმა თუ სხვა რომელიმე ერმა?

სჩანს ჩვენ ყოველთვის ბატონი უნდა ვიყოლიოთ, ლანძღვა-გინება არ დაგაკლოს, და როგორც „თათრის ნიჩაბი“ და სხვა უბრალო სახმარ იარაღად გაგვხადონ.

ბოლოს და ბოლოს ეს ჩვენი ხალხის საქციელი გვიჩვენებს, რომ ჩვენ ჯერაც კიდევ ვერ შევიქენით სრულ წლოვანი და ვერ ავმაღლდით სინიდისით, რომ ჩვენი საკუთარი საქმეები ჩვენვე ვაწარმოვოთ.

ის ერები, რომლებიც სხვა ერის ქვეშევრდომობაში იმყოფება ვერასოდეს თავის ეროვნობა თვისება ვერ შეუნახავს და ბოლოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს თავის ისტორიმა და ეროვნული მეტყველებაც დაუკარგავს.

სწორედ ჩვენც, ამ ერებთაგან ერთსა წარმოვადგენთ. ამ ბოლო დრომდე კი ჩვენც, ჩვენი ვინაობა არ ვიცოდით, თურქი ვიყავით, ლეკი, თათარი თუ სხვა, წარმოდგენა არ გვქონდა. და ვინც შეგვეკითხებოდა ჩვენს ვინაობას, მაშინ მიუგებდით: ჩვენ მუსლიმნი ვართო. მაგრამ იმავე დროს ყოველ ერში მუსლიმანებიც რომ არიან ეს ყველას მოეხსენება. მაგალითად: არაბებში, ჩინელებში, ინდოელებში, სპარსელებში, ლეკებში და ქართველებშიაც კი აჭარელები ისლამის მაღიარებელნი მრავლად არიან.

მაგრამ ჩვენს გარდა ყველა ერში სახელი გვარი, თავიანთი ისტორია, ეროვნული მეტყველება და სახე სასტიკად არის დაცული და შეურყევლად შენახული. და რაც შეეხება ჩვენს ენას, სპარსულის, არაბულის და რუსულის სიტყვებით ისე არის ჩახლართული, რომ აზრის წარმოთქმა გვიჭირს, და როცა დავიწყებთ ლაპარაკს ასში ხუთი პროცენტი კი ძლივს გაიგებს.

ამაზე შემდეგში გვექნება საუბარი, და ეხლა-კი იმას ვიტყვით რომ ამ ერთა წევრებ შორის საერთო ენით ლაპარაკი და ცხოვრება ძნელია და მათი სიმპატიის და პატივის დამსახურება შეუძლებელია.

სამწუხაროდ ჩვენ საუკუნოების განმავლობაში მხოლოდ ერთ ნატვრაში ვიყავით: ვინმე ბატონი გაგვჩენოდა. ახლა მადლობა ღმერთს, განგებამ თვით-გამორკვევის კარები გაგვიღო. შეიძლება ხვალე სულ დაგვეხუროს. მაგრამ როგორც ხარი წითელი ჩითის დანახვაზე ფრთხის, ჩვენც ისე, თავისუფლებას, დამოუკიდებლობას გაურბით.

ამაში კი განსაკუთრებით პირველი უჭერია განჯას.

აქ, ესე იგი განჯაში თავისუფლების, დამოუკიდებლობის სიტყვების მთქმელები, თურქების მტრებად მიაჩნიათ, მაგრამ ყოველივე ეს გამოუცდელობის და აზრის სისუსტის ბრალია. ორი ძმა თუ საკუთარის ძალ-ღონით ცხოვრებაში გაძლიერდება, მაშინ ერთმანეთს უფრო მეტს დახმარებას აღმოუჩენენ. თურქეამა რომ თავიანთ ქვეყნებში კულტურა და სახელი შეიძინონ და ჩვენ აქ, ჩვენს სამშობლოში რომ კულტურა შემოვიღოთ, ძალა შევიძინოთ, სახელმწიფო და ერი შევქმნათ ამან რა ზიანი უნდა მოიტანოს?

უსათუოდ ამის მოწინააღმდეგე ვაჟ-ბატონები ან უგუნური არიან და ან ამ ორი ერის მოსისხლე მტრებია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა, როგორც პოლიტიკურის, ისე ეკონომიურის მხრით ამ ორ ერს შორის დიდს სარგებლობას მოიტანს—ამას კი დიდი ფიქრი არ უნდა".

## საუბარი პროფესორ ცუგმაიერთან.

გერმანიის დელეგაციის საიძფორმაციო ბიუროს თავმჯდომარემ პროფესორმა ცუგმაიერმა გუშინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს გადასცა შემდეგი სხვა და სხვა პოლიტიკურ საკითხთა შესახებ:

ქალ. ბაქო და ნავთი.

ბაქოს აღება, რასაც ჩვენ ყოველ დღე მოველოდით, მით არის უპირველეს ყოვლისა გასახარელი, რომ ჩვენ გვექნება საშუალება ახლო მომავალში იქიდან ნავთი მოვიტანოთ. სრულიად არ არის საჭირო სიტყვა გავაგრძელოთ იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას სახელმწიფოს ცხოვრებისათვის. როგორც, თქვენც უთუოდ იცით, ბაქოში მიემგზავრება გერმანული ეგრეთ წოდებული სამხედრო სამეურნეო—ტეხნიკური დელეგაცია, რომლის მოვალეობას შეადგენს ხელი შეუწყოს ბაქოდან აქ ნავთის მოტანის საქმეს. ეხლა ამ ცნობას შემიძლია ისიც დაუმატოთ, რომ დელეგაციის თავმჯდომარედ დაინიშნა ფონ. დერ. გორცი, შვილი ცნობილი ფონ-დერ-გოლც პაშისა, პიროვნება გამოცდილი და ენერგიული. ფონ-დერ-გოლცის თავმჯომარედ დანიშვნა კიდევ უფრო გვიძლიერებს იმედს იმისას, რომ ამ მხრით საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა მალე მოწესრიგდება.

იმის შესახებ, თუ რა ბედი მოელის ბაქოს მომავალში, უკეთ რომ ვსთქვათ, ვისი იქნება ის, უნდა განვაცხადოთ, რომ ეს უმთავრესად ოსმალეთის, თვით ადერბეიჯანის და რუსეთისაგან გადასაწყვეტი საკითხია.

ბრესტ-ლიტოვის ხელშეკრულების დამატება.

„Кавказское Слово"-ს № 198-ში მოჰყავს გაზეთ „Одесскій Листокъ"-იდან დამატებანი ბრესტ-ლიტოვის ხელშეკრულებისა. რათა ბუნდოვანათ გამოთქმული აზრი ნათელ იქნეს, ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ ის ადგილი, რომელიც ეხება რუსეთსა და რუსეთისაგან განთავისუფლებულ—გამოყოფილ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას უნდა იქნეს ასე გაგებული: გერმანია მოვალედ რაცხს თავს აღიაროს, რომ არ გაერთოს რუსეთის შინაურ საქმეებში, მხოლოდ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, ვითომც გერმანიას არა ჰქონდეს არავითარი უფლება ეკონომიურ თუ სხვა რამე კავშირით შეეკრას ამა თუ იმ, ძველ რუსეთიდან გამოყოფილ ახალ სახელსახელმწიფოებს.

საქართველო, ადერბეიჯანი და სომხეთი.

საქართველომ თვით თავისი ნებით მოიწვია გერმანია, რომელსაც მან დახმარება სთხოვა; ამიტომ, რასაკვირველია, ცხადი უნდა იყოს, რომ გერმანიას ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რათა რუსეთს ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. რუსეთი, როგორც ვიცით, დიდ უარზე იდგა, მხოლოდ როგორც დღეს ვგებულობთ მას უკვე უცვნია საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობის უფლება. სომხეთის და ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა თუ ჯერ კიდევ არ არის აღიარებული რუსეთის მიერ, ამაში, რას კვირველია, გერმანია არაფერ შუაშია, რადგანაც ადერბეიჯანის დამცველად გამოვიდა ოსმალეთი; მაშასადამე ამ უკანასკნელმა კიდევაც უნდა იზრუნოს, რომ რუსეთმა ადერბეიჯანი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ იცნოს. სომხეთის მდგომარეობა უფრო სხვანაირია; მას დღემდე არ მიუმართავს არავისათვის დასახმარებლათ, მაშასადამე ან თვითონ უნდა შეეცადოს თვით მოაწყოს თავის საქმე ამ მხრით, ანუ და მიმართოს ამა თუ იმ სახელმწიფოს, რათა ამ უკანასკნელმა გაუწიოს შუამდგომლობა რუსეთის წინაშე.

ბალკანეთის ფრონტი.

მაკედონიაში ამ ერთი კვირის წინეთ, თანახმად ბოლგარელების ცნობებისა, საომარი ოპერაციები გაცხოველდა. მხოლოდ მას შემდეგ არავითარი ცნობები აღარ მოსულა, და ეს ფრონტი დარჩა ისეთივე „მკვდარ" ფრონტათ, როგორიც ის ამოდენ ხანს იყო.

დასავლეთის ფრონტი.

საფრანგეთის ფრონტზე ახალი, საყურადღებო არა ხდება რა ამ ჟამად. დიდი შეტევა ინგლისელ-ფრანგებისა თან და თან სუსტდება. რამოდენიმე დღის წინეთ სანმიელთან ამერიკელებმა სცადეს შეტევის გაძლიერება, მაგრამ, როგორც სჩანს, უნაყოფო შედეგი მოჰყვა მათ მოქმედებას. ყოველ შემთხვევაში ამ „პუნკტზე" რაიმე დიდი ბრძოლის შესახებ არაფერი აღარ იწერება.

სპარსეთის ფრონტი.

ოსმალეთის წინსვლა სპარსეთში მეტად კარგათ მიმდინარეობს. ოსმალეთის ჯარი მიესწრაფის კაზვინისაკენ ტურფა ჩაი, მიანე, სელენჯით. ეს წინსვლა და კაზვინის ოსმალოს ჯარის მიერ დაკავება დიდ საფრთხეს უმზადებს ინგლისს, რადგანაც ამით მათ ეკვრის უკან დასახევი გზა. საკმარისია რუქას დახედოთ, რომ ამ სიტყვების სრულ სინამდვილეში დარწმუნდეთ.

# ეროვნული საბჭო

## მე-33 სხდომა

**სამშაბათი, 27 აგვისტო 1918 წ. ტფილისი, სასახლე.**

ნ. ც ი ნ ც ა ძ ე (ს. დ.) საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის სახელით მოგახსენებთ რომ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა კომისიის მიერ გადიდებული იქმნა. საერთო ჯამი ხარჯთაღრიცხვისა, რომელიც შემოტანილ იყო განათლების სამინისტროს მიერ 289.300 გადიდებულ იქმნა 331.300 მანეთამდე. შტატების განხილვის დროს მოგახსენებთ, თუ რა ცვლილებები არის შეტანილი საფინანსო კომისიის მიერ. საფინანსო კომისია გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ საერთო მდგომარეობა პროფესორებისა ოდნავად მაინც უზრუნველ ყოფილი უნდა იყოს, რომ ჩვენ მეცნიერებს შეეძლოთ მარტო მეცნიერებას ემსახურნენ. ამ მოსაზრებით ის ნორმები, რომელიც შემუშავებული იყო სამინისტროს მიერ ერთნაირად გადიდებულია აქ წარმოდგენილ შტატების მიხედვით. სამინისტროს პროექტი ასეთი იყო: 22 პროფესორს, თითოს თვიურად 750 მ. საფინანსო კომისიამ წარმოადგინა 750 მ. მაგივრად 900 მანეთი. რექტორს თანამდებობისათვის დაენიშნა ზედ მეტი—450 მ. სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის დეკანს ზედმეტი 300 მ. ზედმეტი თვეში მდივანს 200 მანეთი. 17 მეცნიერს ხელმძღვანელს და ლექტორს თვიურად 500 მანეთი. 10 დატოვებულ უნივერსიტეტთან თვიურად 300 მანეთი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთი უნივერსიტეტში დატოვებულები იქნებიან გაგზავნილი საზღვარ გარეთ, ამიტომ საფინანსო კომისიამ კიდევ მიუმატა 150,000 მანეთი. ფინანსიური კომისიის აზრით საჭიროა ეს ზედმეტი ხარჯი დამატებულ იქმეს მოულოდნელ ხარჯზე, რაც სულ შეადგენს 21 ათას მანეთს. რათა პროფესორთა საბჭოს ჰქონდეს შეძლება უცხოეთში გაგზავნილებს მისცენ მეტი ვიდრე 300 მ., შეიძლება მინიმუმი მისცენ 600 მ. თვეში. შემდეგ აქ არის დაწესებულებათა შენახვა და მოწყობა. ეს ყველაფერი უცვლელად რჩება. მხოლოდ სამდივანმწიგნობროს ხარჯში შეტანილი 2 მდივნის თანაშემწის ჯამაგირი. კომისიის აზრით ორი თანაშემწის მაგიერ უნდა დაინიშნოს ერთი მდივანი. დაბალ მოსამსახურეებს 200 მანეთის ნაცვლად უნდა მიეცეთ 250 მანეთი. როდესაც ჩვენ მივიღეთ ჩვენი კანცელარიის შტატები, (რომლითაც ჩვენ ვიხელმძღვანელეთ) უკვე მივიღეთ ნორმა 250 მან. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ დაბალ მოსამსახურეებს მივცეთ 250 მანეთი. საერთოდ ამ წლის შემოდგომის სემესტრში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უნივერსიტეტს უნდა მისცეს საერთოდ 331,300 მანეთი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. განათლების კომისიის აზრი?

ლ. ნ ა თ ა ძ ე. თუ კი საფინანსო საბიუჯეტო კომისიას ეს შტატები შეუფარდებია სხვა შტატებთან—განათლების კომისიას საწინააღმდეგო არა ექნება რა და იგი მხარს დაუჭერს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილ შტატებს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. თანხმობაა ორივე კომისიის წარმომადგენელთა შორის. ვის ნებავს კიდევ სიტყვა ამის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ფაჩუაშვილს.

ფ ა ჩ უ ა შ ვ ი ლ ი. (ს. რ.) ეს კანონ-პროექტი შემოვიდა განათლების კომისიაში. აქ ჩვენ ის აზრი გამოვსთქვით, რომ შვიდას ორმოცდა ათი მანეთი პროფესორებისათვის ძალიან მცირე არის. განათლების კომისიამ სურვილი გამოსთქვა რომ გადიდებული იყოს და გადასცა ფინანსიურ კომისიას. საფინანსო კომისიამ განიხილა ეს საკითხი და გაადიდა ჯამაგირები. მაგრამ როგორ განიხილა მან ეს საკითხი ჩვენ პარტიას ცნობები არა აქვს. ჩვენ გამოვდიოდით იმ ციფრებიდან, რომელნიც აქ იყო აღნიშნული, აქ პირველ დედანში, რომელიც საფინანსო კომისიის წარმომადგენელმა მოგახსენათ.

ჩვენ უნდა მოგახსენოთ, საზოგადოდ, ქართული მეცნიერება, ქართული ხელოვნება და ყველა, რაც გნებავთ მხოლოდ დღეს უნდა შეიქმნას. ქართული უნივერსიტეტი იქნება საფუძველი, საცა საძირკველი ჩაეყრება ქართულ მეცნიერებას. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ჯერ ჯერობით არა გვაქვს არც ლიტერატურა და არც მეცნიერება, საამისო მასალები გაფანტულია სხვა და სხვა დაწესებულებაში და საზოგადოებაში. არსებობს ჩვენში არქეოლოგიური მუზეუმი, ტოპოგრაფიული, და სხვა ამგვარი საზოგადოება. ამას ყველას მოგროვება უნდა, მოგროვება, ჩამოყალიბება, ყველა ეს შრომა მძიმე, საპასუხისმგებლო შრომა დააწვებათ პროფესორებს. ეს დაწესებულება იქნება ავტონომიური და, თუ ეს დაწესებულება სათანადოთ არ იწარმოებს, ჩვენი პროფესორები—მეცნიერების ქურუმები არ იქნებიან ისეთ პირობებში, როგორც გერმანიაში, რუსეთის სხვა და სხვა უნივერსიტეტებში, რომლებსაც ეს მასალები გამზადებული აქვთ. ამათ კი თითონ უნდა გაამზადონ და მოაგროვონ მასალები.

ეს მოითხოვს უანგარო უაღრეს შრომას. კომისიაში შეტანილი იყო პროფესორის ჯამაგირი—750 თითოეულს. ყველასთვის ცხადია, რომ დღევანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელია ამ თანხით ცხოვრება. ეს ჯამაგირი კი უთუოდ იმ მოსაზრებით იყო წარმოდგენილი, რომ პროფესორები სხვა დარგში იმუშავებდნენ, პერიოდულ გამოცემაში-წიგნების გამოცემაში მიიღებდნენ მონაწილეობას. და ამითი შეავსებდნენ დანაკლის. მაგრამ თუ ესე დატვირთულები, თუ ესე ჩაყლაპულები იქნებიან ცხოვრების მოთხოვნილებით, დატვირთულნი ზრუნვით თავის კუჭისათვის თავის თავად ცხადია, რომ უმთავრესი დრო, რომელიც საჭირო იქნება მეცნიერებისთვის, უნდა მოუნდეს მათ დანაკლისის შევსებას, და ჭირ-ვარამზე ზრუნვას. ეს რასაკვირველია, დიდ ზარალს მოუტანს ჩვენ მეცნიერებას. ჩვენი ფრაქცია საჭიროდ სთვლის, რომ ეს თანხა გადიდებული იყოს. ჩვენ იმას არ ვიტყვით რა ციფირი იქნება მიღებული, ჩვენი პარტია ეთანხმება საფინანსო კომისიის მოსაზრებას. ჩვენ გულთმისნები არა ვართ, და არ ვიცით, რა ციფირებს წარმოადგენს საფინანსო კომისია. ჩვენი აზრით, მაშინ, როდესაც კანცელარიის დირექტორი იღებს 1200 მ. თვეში, საჭირო არის, რომ თითო პროფესორებს 750 მ. მაგივრად მიეცეს თვეში 1200 მ., მხოლოდ 700 მ. როგორც ძირითადი ჯამაგირი და 500 მ. სიძვირის გამო. აქ კი იყო გადაწყვეტილი—500 მ. ძირითადი ჯამაგირი და 700—სიძვირის გამო—რექტორსო.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ეგ შემდეგ, მაშ თქვენი წინადადება არის, რომ პროფესორებს მიეცეთ თვეში 1200 მანეთი.

ნ. ც ი ნ ც ა ძ ე. (ს.-დ.) საქმე იმაშია, ბატონებო, რომ აქ გამოითქვა აზრი, რომ მეცნიერებისთვის შეუძლებელი იქნება სხვა შრომა, მაგალითად: პერიოდულ გამოცემებში წერილების დაბეჭვდა და სხ.

ეს მართალი არ არის. მეცნიერები შესძლებენ სხვა შრომის გაწევასაც და რაიმე გასამჯელოს აიღებენ და მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება. უნდა მოგახსენოთ რომ მართალია, უმთავრესი საორგანიზაციო მუშაობა ეხლა არის. ეხლა, როდესაც საფუძველი ეყრება უნივერსიტეტს, დიდი შრომა დააწვდებათ განსაკუთრებით უნივერსიტეტის დეკანს და რექტორს. აი ამ მოსაზრებით, ჩვენ გავუდიდეთ ჯამაგირები რექტორსა და დეკანსა. პროფესორებს დავუტოვეთ 900 მ., იმ მოსაზრებით, რომ უმთავრესი აუტანელი შრომა უნდა გასწიონ იმ პირებმა, რომელნიც სათავეში იქნებიან. მე პირადად ვიცავ საფინანსო კომისიის წინადადებას; პროფესორებს დაენიშნოთ 900 მ. და რაც შეეხება დეკანს, მას ზედმეტი თვეში 300 მანეთი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ერთი წინადადება არის ორ კომისიისაგან წარმოდგენილი. (კითხულობს). კენჭს უყრი პირველ წინადადებას. წინადადება იყო ასეთი—პროფესორებს დაენიშნოს 900 მ. თითოს. მაშ მე კენჭს უყრი პირველ წინადადებას, რომელიც ორ კომისიის მიერ არის წარმოდგენილი ამ წინადადებით პროფესორს უნდა დაენიშნოს თვიურად 900 მანეთი. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? ეხლა კენჭს უყრი სოციალისტ-რევოლუციონერთა წინადადებას. პროფესორებს თვიურად დაენიშნოთ 1200 მანეთი.

ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე წინადადება უარყოფილია. პროფესორებს თვიურად ენიშნებათ 900 მანეთი.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. (კითხულობს) რექტორს თანამდებობისთვის ზედმეტი თვეში 450 მანეთი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. (კითხულობს) სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის დეკანს ზედმეტი თვეში 300.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. (კითხულობს) ზედმეტი თვეში მდივანს 200 მ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. (კითხულობს) სამათემატიკო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანს თვეში 300.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. (კითხულობს) ზედმეტი თვეში მდივანს 200 მან.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. (კითხულობს) 17 მეცნიერს ხელმძღვანელს და ლექტორს 500 მანეთი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. (კითხულობს) 10 დატოვებულს თვიურად 300 მანეთი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. ამ მუხლს ასეთი შენიშვნა აქვს. (კითხულობს) უცხოეთში გაგზავნილთათვის დანიშნულია 600 მან., რომელთათვის ზედმეტი ხარჯი დამატებულია „მოულოდნელ" ხარჯზე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. (კითხულობს) პროფესორთა და მეცნიერ ხელმძღვანელთა შრომების დასაბეჭ. 8,000 მანეთი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. შემდეგ არის (კითხულობს, 2) დაწესებულებათა მოწყობა და შენახვა.

ლაბორატორიებისა, კაბინეტ. და აუდიტორიების მოწყობა-შენახვა, სახელდობრ 20,000 საქიმიო ლაბორატორიისა, 20,000 ფიზიკური კაბინეთისა, 10,000 საბოტანიკო, 10,000 საზოოლოგიო კაბინეთისა და 20,000 აუდიტორების მოსაწყობად—80,000.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნ ა თ ა ძ ე. (კითხულობს) წიგნთსაცავის გამგე პროფესორს ზედმეტი თვეში 150 მან.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. (კითხულობს) წიგნთსაცავის გამგის უფროს თანაშემწეს 300 თვეში, მეტი 150 მ. სულ 450 მანეთი თვეში.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე (კითხულობს) ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნათაძე. (კითხულობს) წიგნთსაცავის გამგის უმცროს თანაშემწეს 300 მან. თვეში.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი?

ლ. ნათაძე. წიგნთსაცავისთვის წიგნების შესაძენად 20,000 მან.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნათაძე. ხელოვნების და საფოტოგრაფიო კაბინეთის გამგეს 400 მანეთი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთნის საბჭოს წევრს ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს.

ე. თაყაიშვილი. (ერ.-დ.) მართალი უნდა მოგახსენოთ, კარგი ხელოვანი ფოტოგრაფი არის. წინად ის ფოტოგრაფიის ხელმძღვანელი, რომელიც ეხლა არის მოწვეული იყო 400 მანეთზე მსახურობდა. ძალიან შესანიშნავი ფოტოგრაფია, გერმანელია. ეხლა, სიძვირის გამო იმან გვითხრა—არ დავრჩები, თუ ჯამაგირს არ მომიმატებთო. მე გთხოვთ 400 მანეთის მაგივრად 500 დაენიშნოს. ეს ბევრს არ წარმოადგენს და გვესაჭიროება კი, რომ შევინარჩუნოთ. ტყვედ იყო, იქიდან ჩამოვიდა, ზედმეტი ხარჯი მოუვიდა. მეტად პატიოსანი მშრომელი არის, და თავის საქმის მცოდნე კაცი.

ლ. ნათაძე. მე წინააღმდეგი არ ვარ ამ შესწორებისა.

თავმჯდომარე. მაშასადამე მომხსენებელი ეთანხმება ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის შესწორებას. ხელოვნების და საფოტოგრაფიო კაბინეთის გამგე აქამდის იღებდა 400 მ. ეხლა მიიღებს 500 მანეთს.

ლ. ნათაძე. საფოტოგრაფიო მასალის შესაძენად 2500 მანეთი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნათაძე. (კითხულობს) საისტორიო საზოგადოებას 40,000 მა-ის 4 პროც სარგებლში ნახევ. წლისა 800.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ექვთიმე თაყაიშვილს.

ე. თაყაიშვილი. ერთი ცნობა უნდა მოგახსენოთ: ყოფილი ერმაკოვის ფოტოგრაფია ვიყიდეთ საერთოდ უნივერსიტეტმა და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ. ფული არც ერთს და არც მეორეს არ გვქონდა. ასეთ გვარად მოვიქეცით. მივმართეთ და ვისესხეთ იმ თანხიდან, რომელიც დაგვიტოვა განსვენებულმა სარაჯიშვილმა. სარაჯიშვილის ნების აღმსრულებელმა გადმოგვცა ეს ფული იმ პირობით, რომ ვაძლიოთ 4 პროც. სანამ პატრონს ჩაებარება. უნივერსიტეტმა მხოლოდ ეს პროცენტი უნდა მოგვცეს. ეს ის პროცენტია, რომელიც ნების აღმასრულებელმა მოინდომა. აი საქმე ასე გახლავთ და ეს ცნობისთვის მოგახსენეთ.

თავმჯდომარე. ეს მუხლი მიღებული გახლავთ.

ლ. ნათაძე (კითხულობს) სამღივანმწიგნობრო ხარჯი. გამგეობის მდივან მწიგნობარს 600 მ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნათაძე (კითხულობს). ერთ მის თანაშემწეს თვეში 500 მანეთი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნათაძე. სამღივანმწიგნობრო ხარჯი 2500 მ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნათაძე. ხაზინადარ პროფესორს ზედმეტი თვეში 150 მ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნათაძე. სხვა და სხვა ხარჯი. შენობის გათბობა და განათება—7500 მანეთი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

ლ. ნათაძე. ათ დაბალ მოსამსახურეს და წერილების დამტარებელს თითოს თვეში 250 მანეთი.

ბადრიძე. მოგეხსენებათ, რომ ამ დროსთვის 250 მ. ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ 25 თუმნად ცხოვრება არ შეიძლება. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით შემომაქვს შესწორება: დაბალ მოსამსახურეებს მიეცეთ ჯამაგირი 300 მ.

თავმჯდომარე. მომხსენელი.

ლ. ნათაძე. საფინანსო კომისიის აზრი ამის შესახებ არ ვიცი, მაგრამ მე პირადად წინააღმდეგი არა ვარ რომ დაბალ მოსამსახურეებს დაენიშნოთ 300 მ. თვეში.

თავმჯდომარე. საფინანსო კომისიის აზრი?

ნ. ცინცაძე. საქმე იმაშია, რომ საერთოდ მიღებული ნორმები გვქონდა, როცა შემუშავდა მთავრობის კანცელარიაში შტატები. მაშინ ასეთ თანამდებობაზე დაუნიშნეთ სწორედ 250 მანეთი, ამ ნორმების მიხედვით ავილეთ 250 მ. მე პირადად საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

თავმჯდომარე. კენჭს უყრი. ვინ არის მომხრე ამ შესწორებისა? (კენჭის ყრა) მიღებულია. მაშასადამე ეს მუხლი ასე შეიცვლება. ეს ჯამიცაშეიცვლება, რადგან ჩვენ შევიტანეთ შესწორებანი. ეგ გამოიანგარიშეთ შემდეგ. აქ არ შეიძლება. ეხლა მთლად კანონპროექტს უყრი კენჭს. ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. შემდეგი კანონ-პროექტი გახლავთ სასამართლოს ბოქაულთა და გზირთა გასამრჯელო ნიხრის გადიდების შესახებ. მომხსენებელი რაფაელ ივანიცკი.

რ. ივანიცკი (ერ. დემ.) კანონ-პროექტი წარმოდგენილი ეროვნულ საბჭოში, გამოწვეულია დღევანდელი ცხოვრების უკიდურეს სიძვირის გამო. ეს კანონ-პროექტი ეხება საოლქო სასამართლოს მოხელეების იმ კატეგორიას, რომელთაც მცირე ჯამაგირები აქვთ. ეხება ეგრედ წოდებულ მათ საგასამრჯელო ნიხრსა. ესენი არიან სასამართლოს ბოქაულნი და გზირნი. ამასთან სასამართლოს ბოქაულნი უფრო ბედნიერნი გამოდგნენ იმით, რომ მათ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება კომისარიატმა. ამ წლის 31 იანვრის განკარგულებით მათ მიემატათ გასამრჯელო ნიხრი ერთი სამად. სასამართლოს პალატის დეპარტამენტის საზოგადო კრებამ ყურადღება მიაქცია ამ მოვლენას და თავის მხრივ დაადგინა ის გარემოება, რომ გზირები მცირე ჯამაგირების გამო უმწეო მდგომარეობაში არიან და მათ დახმარება უნდათ. კრებამ ერთხმად დაადგინა: ეთხოვათ კომისარიატისთვის რომ სასამართლო გზირებს გასამრჯელო ნიხრი მოემატოს ერთი სამად. ეს თხოვნა გადაცემული იყო კომისარიატის მიერ ეგრედ წოდებულ კომისარიატის იურიდიულ სათათბიროში. და იურიდიულმა სათათბირომ ერთხმად დაადგინა, რომ ეს თხოვნა შეწყნარებული ყოფილიყო. მაგრამ შემდეგ ამ საერთო არევ-დარევის გამო ამ საკითხზე აღარავინ ზრუნავდა.

დღეს იუსტიციის სამინისტრო ძალიან მოწადინებული არის სასამართლოს მოსამსახურეებს—გზირებს და ბოქაულებს ჯამაგირი ერთი სამად მიემატოს და თხოულობს რომ ეროვნულმა საბჭომ განიხილოს ეს კანონპროექტი და მიიღოს. ეს კანონი ნონი იმ მოსაზრებით არის შემოტანილი ეროვნულ საბჭოში, რომ ის ეხება სახელმწიფო მოსამსახურეებს და თუმცა ნიხრს იხდის არა სახელმწიფო, არამედ ხალხი, რომლის საქმეს ასრულებენ ბოქაულები და გზირები, მაგრამ იურიდიულმა კომისიამ დაადგინა ეს კანონ-პროეკტი უსათუოდ უნდა გასულიყო ეროვნულ საბჭოში. თუ ნებას მომცემთ წაგიკითხავთ. კანონ-პროექტი შეიცავს ერთ მუხლს (კითხულობს).

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე ამ კანონ-პროექტისა? კანონ-პროექტი, მიღებულია

ახლა ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იმის შესახებ თუ რა მდგომარეობაში არის საკითხი ლერების შესახებ. წარსულ კერძო კრებაზე ჩვენ დავადგინეთ, რომ ფრაქციები მოილაპარაკენ, შემდეგ ამა თუ იმ აზრს დაადგებიან და აქ ეს საკითხი განხილული იქნება. გუშინდელმა მოლაპარაკებამ, როგორც ვიცით, ვერ მოიტანა ისეთი სასურველი ნაყოფი, რომ დღეს შეგვძლებოდა ამ საგანზე მსჯელობა გვქონოდა. პრეზიდიუმმა ამ მდგომარეობას ანგარიში გაუწია, და დღეს ვერ დავსვით ეს საკითხი წეს-რიგში. ჩვენ უცდით იმ დროს, როცა შეთანხმება მოხდება და გარკვეული აზრი ფრაქციების გვექნება. გადავწყვიტეთ მომავალში ასე მოვიქცეთ. მართალია უკვე კომისიას ამაზე თავისი აზრი აქვს, მაგრამ ფრაქციებს ეს საკითხი ასეთ ნაირათ გადაწყვეტილი არა აქვთ, ამიტომ პრეზიდიუმი იძულებული იქნება, იცადოს იმ დრომდისინ, ვიდრე ფრაქციები შეთანხმდებიან. პრეზიდიუმი ძალაუნებურად იძულებული იყო ეს საკითხი გადაედო.

მეორე. წარსულ კრებაზე, უკანასკნელად, როცა მსჯელობა გვქონდა შეკითხვის შესახებ, მე განცხადებანი მქონდა სიტყვის შესახებ ორი წევრისაგან. ერთი გახლდათ, ამ შეკითხვის ავტორისა ვეშაპელისა, მეორე წერილი იყო ბატონ იასონ ლორთქიფანიძისა. როდესაც კრება გათავდა, ბატონი ვეშაპელი მოვიდა ჩემთან, შემომკითხა, მე სიტყვა მინდოდაო პირადი საკითხის შესახებ და მე რომ დავხედე ბარათს, აღმოჩნდა, რომ ამ ბარათში მართლა იყო დაწერილი, რომ მას სურდა სიტყვა, პირადი საკითხის შესახებ. მაგრამ მე ვერ შევნიშნე იმიტომ, რომ ეს სულ ბოლოში იყო, და მან ვერ მიიღო საშუალება სიტყვა პირადი საკითხის შესახებ ეთქვა. რაც შეეხება მეორე ბარათს ის იყო საბჭოს წევრის ბ. ლორთქიფანიძისა, აქ მხოლოდ გვარი იყო დაწერილი და არ იყო აღნიშნული, რისთვის თხოულობდა ბ. ლორთქიფანიძე სიტყვას—არსებითი საკითხისთვის, თუ პირადი. მაგრამ, როგორც გამოირკვა მერე, საბჭოს წევრმა ბ. ლორთქიფანიძემ ბოლოს მითხრა, მე ბარათი იმიტომ მოგწერეთ, რომ მინდოდაო პირადი საკითხზედ მელაპარაკნაო. ასე რომ, ეს ორი წევრი საბჭოსი დარჩა ისე და პირადი საკითხისთვის სიტყვა არ მიიღო. მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, ვთხოვო საბჭოს ნება მომცეს, ნება დავრთო ამ ორ წევრს, რომ პირადი საკითხის სიტყვა მიიღონ. ჩვენს ნაკაზში, როგორც მოგეხსენებათ, ნათქვამი არის, რომ პირადი საკითხისთვის ორატორი ღებულობს სიტყვას სხდომის ბოლოს. ამ რიგათ, რაკი არც ტეხნიკურის მხრით არსებობს დაბრკოლება, მე იძულებული ვარ ცოტად თუ ბევრად ეს ჩვენი რეგლამენტი ამ მხრივ დავარღვიო და ამ შეცდომას მე ჩემ თავზე მივიღებ. ბოდიშს ვიხდი საბჭოს წინ, მხოლოდ ვთხოვ, რომ საბჭომ მისცეს ნება პირადი სიტყვისა ამ ორ წევრს. მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონი ვეშაპელი დღეს ვერ ისარგებლებს ამ უფლებით, რადგანაც დღეს ის ავათ არის, როგორც ამის ცნობა მივიღე: ის თხოულობს, თუ ნებას მიიღებს დღეს, ამ უფლებით ისარგებლოს მაშინ, როცა მორჩება. თუ ამათ ნებას მისცემთ სიტყვის თქმისას, სიტყვას მივცემ ბ. ლორთქიფანიძეს.

ლორთქიფანიძე. ბატონებო! წარსულ კრებაზე ჩემი გვარი ორჯერ იყო დასახელებული, ერთხელ ბორჯომის წყალის შესახებ და მეორედ ტყავის შესახებ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ იყო გამოწვეული მოსაზრებით—ლანძღვის და ჩირქის მოსაცხებად. იმიტომ, რომ ის სურვილი პირდაპირ ავათმყოფი მოვლენა იქნებოდა, რის მორჩენა შეიძლებოდა სხვაგან და არა აქ ამ ტრიბუნიდან. მე ვფიქრობ. და დარწმუნებული ვარ რომ ავტორებს ჰქონდათ აზრად ინფორმაციულ განმარტების ხასიათი მიეცათ ამ ცნობებისთვის. იმიტომ მე ვამბობ. რომ ეს ინფორმაცია სრული არ იყო არამედ სიმართლეს მოკლებული.

რაც შეეხება ბორჯომის წყალს, ბატონი გელეიშვილი ბრძანებს, რომ ის წრეები, რომელნიც დაახლოვებულად იდგნენ ლორთქიფანიძესთან, ის წრეები წინ და წინ ამაზე ლაპარაკობდნენ, ზრუნავდნენ და როდესაც არ მიიღეს, რადგან ცოტა ფასები შეაძლიეს, მაშინ სხვებსაც გვირევდნენო.

უნდა მოგახსენოთ, არც ჩემთან და არც ჩემის თანა დასწრებით არა ვის არა ვითარი ლაპარაკი არ ჰქონია სანამ ბ. გელეიშვილი არ მობრძანდა ბანკში და არ გამოაცხადა რომ ეს წყალი უკვე გაცემულიაო, მაგრამ მე ამ პირობებს დავარღვევ, თუ ქართველ კაპიტალისტებს გვიშოვნიო. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ბ. გელეიშვილს არ უთქვამს რომ წინანდელ მოიჯარადრეს სურს, რომ ეს იჯარა დაირღვესო, პირ იქით იმან მკვახედ და მტკიცედ სთქვა, რომ მე ამას გავაუქმებო. ამას, რასაკვირველია, არა ვითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ ის შუამავალი, რომელზედაც ლაპარაკობს ბ. გელეიშვილი, რომ ის ვაჭრების წარმომადგენელი იყო, ამ ინჟინერს არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა არც ამიერკავკასიის მთავრობასთან, და არც, რასაკვირველია, ჩემთან. ბ. გელეიშვილი იმასაც სცდილობდა ეთქვა, რომ ის ეროვნულ დემოკრატი არის. უნდა მოგახსენოთ, რომ ის არც ეროვნულ დემოკრატი არის და არც ყოფილა. და თუ გინდათ, რომ ამაზე დარწმუნდეთ, წაიკითხეთ შაბათის ნომერი „სახალხო საქმე“, სადაც იმის წერილი არის, რომელშიაც ის ისევე უმასპინძლდება კაპიტალისტებს და ბურჟუებს, როგორც ბ. გელეიშვილი და ზოგი ერთნი სოციალისტები, რომელნიც ეხლაც, როდესაც გარეშე ძალა იქნება ისე მტკიცე ჩამოხატულ კაპიტალისტური პროგრამით, ამბობენ, რომ ჩვენი ვაჭარ მრეწველობა და ტეხნიკური განვითარება დამოკიდებულია მხოლოდ დემოკრატიულ ორგანიზაციებზე, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამას არც ერთი ეროვნულ დემოკრატის არც ერთი დემოკრატიული წევრი საბჭოსი, ამ დროს არ დაადგება ამ გზას.

როდესაც წინადადება მომცა ბ. გელეიშვილმა, მოველაპარაკე, მაგრამ მათ კატეგორიული უარი გამოაცხადეს, რადგანაც დაინახეს, რომ ის ფასები მაშინდელი დროისთვის ძალიან ძვირი იყო, (ეხლა ფასებმა იმატეს) და მერე იმიტომაც, რომ ჯერ ჩვენ ასეთი აურ ზაური გვაქვს ტყავის შესახებ და მეორე საქმეს როგორ მოვკიდოთ ხელიო და მერე ასეთ ფასებშიო, იმიტომ იმათ უარი გამოაცხადეს. მე რასაკვირველია არ შევალ იმის დაფასებაში, რამდენად საძრახოა უარის გამოცხადება იმათგან.

რაც შეეხება ტყავის საკითხს, ამის შესახებ ლასხიშვილმა გამოაცხადა, რომ ლორთქიფანიძე არა ვითარი დამნაშავე არ არის, მაგრამ ეს საქმე კი ლორთქიფანიძის რჩევით მოხდაო. გამოდის ისე, რომ არა ვითარი დამნაშავე არავინ არ არის, დამნაშავე კი ცოტათ თუ ბევრათ ლორთქიფანიძე არისო. უნდა მოგახსენოთ, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ ამაზე დიდი ხარხარი დაიწყო. ვისკენ უნდა იყოს მიმართული ეს ხარხარი? ჩემზე თუ ვისზე? როდესაც სხვა და სხვა მოსაზრების გამო, კომიტეტმა საჩქაროდ დაადგინა, რომ ტყავი გაყიდულიყო კერძო რამე დაწესებულებაზე, ფული არ ამოაჩნდა ეროვნულ საბჭოს. მაშინ კომიტეტმა მიმართა ხოშტარიას. ასეთი შეთანხმება იყო: ფული უნდა ყოფილიყო ხოშტარიასი და საკუთრება ეროვნული საბჭოსი. მე მაშინაც ვიყავი იმ აზრისა, ეხლაც ვამბობ, რომ ჩვენ მაშინ მაგრე არ გვექნა, ძალიან შესაძლებელი იყო, რომ ცუდ საქმეში ჩავარდნილიყავით, შესაძლებელი იყო, რომ ეს ტყავი სულაც დაგვეკარგა. მე გამოვაცხადე, რომ ეს საქმე ეროვნულ საბჭომ უნდა აიღოს ხელში, ეს ტყავი მან უნდა იყიდოს. ფულს ჩვენ გიშოვნით. მაშინ მომმართეს—რა გარანტია არის, რომ ხოშტარია მიიღებს ამ ტყავს. მე უთხარი არის ბანკის გარანტია, ჩვენ ბანკის გარანტიას მოგცემთო და ამითი ვიხსნით ამ ტყავსაო. თუ ჩემი რჩევა და გარანტიის მიცემა რაიმე ცოდვას შეადგენს, არ ვიცი. აი ამითი გათავდა ჩემი როლი, ამაზე მეტი არაფერი იყო. რაც შეეხება სერიოზულ მომენტს, ტყავის მიღებას, ცნობების მოკრებას, დაფასებას, ტყავის გაყიდვას,—ეს დავალებული ჰქონდა მაშინდელ ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ლასხიშვილს. იმას უნდა გამოეგზავნა ექსპერტები, აგენტები და უნდა მიეღო მონაწილეობა დაფასებაში, ცნობების მოკრეფაში. მე მგონია, ეხლა ეჭვი არ არის, რომ ცნობაში მოყვანილი იყო, შეთანხმება იყო, მხოლოდ ლაპარაკი იყო ფასებში, რომელშიაც მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. ამასთან ვფიქრობ, ბატონი მინისტრი, რომ ბრძანებს ფასებზე, მაშინდელი ფასები, იმ გაჭირვებულ დროისა, ახლანდელ ფასებთან, ძალიან დიდია. მე ვფიქრობ, იქნება ვცდები, ეხლა, რასაკვირველია, როდესაც მშვიდობიანობა ჩამოვარდა და არაფერს საშიშს არა ვხედავთ, ჩვეულებრივ ფასებმა აიწია. მაშინ საქართველოს მდგომარეობა ისეთი იყო, რომ შეიძლებოდა სულ ტყუილ უბრალოდ დაგვეკარგა ტყავები. ყოველ შემთხვევაში რეზულტატი ყველა ამ მოქმედებისა ის იყო, რომ ამ ვაჟბატონმა, ამ მრეწველმა, შეაგროვა ეს ტყავი, რომელიც ეყარა გარეთ, ხმებოდა, ლპებოდა, ბოროტ კაცებს მიჰქონდათ, შეჰკრიფა და როდესაც აურ-ზაური ასტყდა, შეიტანა განცხადება, რომ სარგებელს მოგიმატებთ 30 პროცენტს, 10 პროცენტის მაგიერ, როდესაც არ გასჭრა ამან, მაშინ სთქვა, გადახედეთ ხელშეკრულება და რა პირობებიც გინდათ, ის პირობები დადეთო, მაგრამ მთავრობამ ვერ მოიცალა, რომ ეს გადაეხადა, ცუდი ხანა იყო. როცა არევ-დარევა დადგა, იმან კვლავ შეიტანა განცხადება კომიტეტში. სრულიად ვანებებ ამ საქმეს ხელსაო, გიბრუნებთ ამ საქმესაო. ჩაიბარეთო. რაც ხარჯი მოუვიდა ამ საქმეზე ის არ ითხოვა. რა არის ასეთი საძრახი, რომ ვინც შუამავალი იყო, ისიც კი დატუქსეთ ამ საქმეში, ეს არ მესმის.

თავმჯდომარე. კრება დახურული გახლავთ.

(კრება იხურება 3 საათსა და 30 წუთზე)

## პარლამენტის გარშემო

დღეს ეროვნული საბჭოს მორიგი კრებაა.

დღიური წესრიგი:

1. საბოლოო ტექსტი—საქართველოს რესპუბლიკის გერბის კანონისა. მომხსენებელია რ. არსენიძე.
2. საბოლოო ტექსტი—დროებით საგანგებო სასამართლოს კანონისა. მომხსენებელია რ. არსენიძე.
3. კანონ-პროექტი—მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ. მომხსენებელია რაფ. ივანიცკი.
4. კანონ-პროექტი წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სახელმწიფო სკოლად გამოცხადების შესახებ. მომხსენებელია დავ ონიაშვილი.
5. ხელშეკრულება აღერბეიჯანის მთავრობასთან 80 მილიონი ბონის გამოცემის შესახებ. მომხსენებელია დიომ. თოფურიძე.
6. კანონ-პროექტი—სახელმწიფო კონტროლიორის ჯამაგირის შესახებ. მომხსენებელია დიომ. თოფურიძე.
7. კანონპროექტი—ჯარის კაცთა საჭიროებისათვის წმინდა სპირტის, თუთუნის, პაპიროსის და წუმწუმის უაქციზოდ მიცემის აღკრძალვის შესახებ. მომხსენებელია დიომ. თოფურიძე.

## დეპეშები.

### ომი.

ბერლინი, სექტემბრის 18. დასავლეთის ფრონტი. ელეტისა და ენას შუა მტერი შეტევას განაგრძობს. შუადღემდის მას მოჰქონ-

და იერიშები ვოქსეილონის და ალემანის შუა, შუადღის შემდეგ მტერმა მთელ ფრონტზე დაიწყო შეტევები დიდი ძალებით. მტერი, რომელიც შემოიჭრა ჩვენს პოზიციებში ლოფო-შავილიონის სამხრეთით, ჩვენ განვდევნეთ.

ჰ ე რ ც ო გ - ა ლ ბ რ ე ხ ტ ი ს ლ ა შ ქ ა რ ი. ლოტარინგიის ფრონტზე და ზინდგაუში მზვერავ რაზმების უმნიშვნელო მოქმედებაა.

მ ა კ ე დ ო ნ ი ი ს ფ რ ო ნ ტ ი. ცერნის აღმოსავლეთით სექტ. 16-დან ბულგარელებისა ერთი მხრით და ფრანგებისა, სერბიელებისა და ბერძნების შუა მეორე მხრით ბრძოლა სწარმოებს.

ს ტ ა მ ბ უ ლ ი, სექტ. 18. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. ორივე მხრიდან საარტილერიო და მზვერავ რაზმების ბრძოლაა.

იერუსალიმ-ნაშლუსთან მტრის ცეცხლი გრძელდება. აქ ჩვენ მტრის ძლიერი რაზმები მოვიგერეთ. მდ. იორდანესთან ჩვენ გავიმარჯვეთ მტრის მძიმე არტილერიასთან ბრძოლაში. ჩვენ ჩამოვაგდეთ ინგლისელთა ერთი ჰაეროპლანი. სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ბ ე რ ლ ი ნ ი, სექტ. 18. საღამოს სამხედრო ცნობა, ინგლისელები და ფრანგები იერიშით მოდიან გავრინ-კურტის და რომის შუა ფრონტზე. სხვა ფრონტებზე მტერმა ვერ გაიმარჯვა.

პ ა რ ი ზ ი, სექტ, 18. სამხედრო ცნობა. ფრანგებმა, მიუხედავათ გერმანელების დიდი წინაალმდეგობისა, 4 კილომეტრი წინ წაიწიეს. ფრანგებმა დაიჭირეს ტყე სავი და ფონტენ-ლე-კლერკი. გერმანელებმა ალემანის აღმოსავლეთით ძლიერ შეუტიეს, მაგრამ ისინი ჩვენ გავდევნეთ, რამდენიმე ტერიტორიაც მოვიგეთ და 130 ტყვეც წამოვიყვანეთ.

ა მ ე რ ი კ ი ს ოფიციალური ცნობა, ლორენ სა და ელზასის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა,

მ ო ს კ ო ვ ი, სექტემბ. 17. ჩრდილოეთის ფრონტზე ცვლილება არ არის.

სამხრეთის ფრონტი: კოლოჩაევის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა გაიმარჯვეს. ნოვოხოპერის მიმართულებით ძლიერი ბრძოლაა. პატიომკინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა გაანადგურა პლასტუნების ბრიგადის შტაბი.

### უ ც ხ ო ე თ ი.

მანჩესტერში ლოიდ-ჯორჯის მიერ წარმოთქმულ სიტყვის შესახებ ბერლინის გაზეთები ამბობს, რომ ამ სიტყვას საარჩევნო პროპაგანდის ხასიათი აქვსო. ის არწმუნებს ინგლისელებს, რომ მათთვის აუცილებელია ეხლანდელი სამხედრო პოლიტიკის განგრძობა. გარდა ამისა ამ სიტყვამ „ნორდ-დევიჩე-ალგემ ცეიდუნგის“ აზრით უნდა დაანახოს კრიტიკოსებს, რომელთა რიცხვი თან და თან მატულობს, რომ იგი გერმანიის განადგურების მისწრაფების მომასწავებელი არის და შეთანხმების სურვილს არ უარყოფს. ლოიდ-ჯორჯის ამ განცხადებას ეწინაალმდეგება მეორე მისი განცხადება, რომელშიაც იგი ამბობს, რომ ომის დასასრულს მტერს იძულებულ ჰყოფენ, რომ სამართლიანი და ხანგრძლივ მშვიდობიანობა დაიცვასო. გაზეთები აღნიშნავს ლოიდ ჯორჯის არა გულწრფელ სიტყვის ამ აშკარა წინაუკმაობას. ინგლისს არ მოუხდება, რომ ჩვენ სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობიანობა გვაიძულოს. ამ მშვიდობიანობის მისაღწევათ კაცობრიობა იძულებული იყო ებანავნა სისხლის ზღვაში. გერმანიის ვიცე-კანცლერის მიერ ხუთშაბათს შტუტგარდში ნათქვამი სიტყვა უზრუნველ ყოფდა სამართლიან ზავს. გერმანიის მიერ ახალ შენების დაბრუნების მითხოვნის გამო, ბალფური ამბობს, რომ ვერავითარი მოლაპარაკება შეათანხმებამდე ვერ მოიყვანს, რადგანაც შეუძლებელია დაუბრუნდეს გერმანიას ის უბედური ხალხი, რომელსაც იგი თავის სასარგებლოთ იყენებდა და მიეცეს მას კონტროლის ნება ზღვის ბაზებზე, რომლებიც არის არა თუ მარტო ინგლისის გზა, არამედ მთელი განათლებული ქვეყნის. მეორე გამოურკვეველი საკითხი არის ელზას ლორენის საკითხი. კანცლერის სიტყვის შემდეგ ავსტრიის წინადადება იყო, იგი ცინიზმით იყო გამსჭვალული. ბალფურის აზრით ეს წინადადებები თქმულიყო არა იმისთვის, რომ მიღებული ყოფილ იყო, არამედ იმისთვის რომ გამოეწვია უთანხმოება მოკავშირეთა შორის. ბალფურმა დაასრულა: „მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ახალი ცდა არ მიიყვანს შეთანხმებამდე, მაგრამ იმაში კი ვარ დარწმუნებული, რომ ის შეიტანს უთანხმოებას მოკავშირეთა შორისო“.

ვიცე-კანცლერმა ფონ-პაიერმა 12 სექტემბერს რეიხსტაგის სხდომაზე სთქვა:

„მე არ მოგიწოდებთ თქვენ ატანა-გამძლეობისაკენ. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი და ჩვენი ბავშების არსებობა დამოკიდებულია იმაზე, ავიტანთ და გავძლებთ თუ არა ჩვენ ბოლომდე. სისულელე იქნებოდა მიგვეტანა მსხვერპლი იმისთვის, რომ გვეომა ოთხი წლის განვავლობაში და ბოლოს ინგლისის მონა გავმხდარიყავით. მე მინდოდა გამომერკვია, როგორც გერმანიაში, აგრეთვე მოკავშირეთა სახელმწიფოებში მძიმე სულიერი განწყობილების მიზეზი. ჩემის აზრით უსამართლობა იქნებოდა შეგვეჩერებინა გერმანელების აზრი იმაზე, თუ რა წინაალმდეგობას გვიწევენ ჩვენ ისინი ფრონტზე. ისინი ძლიერი არიან. ყველამ იცის, რომ სამხედრო ბედნიერება ცვალებადია. ჩვენ ვენდობით ჩვენს ჯარებს და მათ მეთაურებს, რომლებმაც გაათავისუფლეს აღმოსავლეთი პრუსია და რომელმაც განდევნა თავის ტერიტორიიდან რუსის მილიონიანი ჯარი. მათი იმედით ხალხი საფრთხის გარეშე გრძნობს თავს; ასეთი რწმენა უნდა მოგვეხმაროს ჩვენ ეხლანდელ მძიმე დროში. მაშასადამე, მძიმე სულიერი განწყობილების მიზეზი არის არა ჯარისადმი უნდობლობა, არამედ ის, რომ ზავის იმედი სუსტდება და ომის ბოლო არა სჩანს. ყველა მეომარი ხალხი ერთნაირათ იტანჯება ამით. ყველა ერთნაირათ სწუხს მილიონი ადამიანის დაკარგვას, დაჭრას და ტყვეთ წაყვანას. სახელმწიფო ვალები იზრდება, რისთვისაც კერძო საკუთრებაც არ არის უზრუნველყოფილი. ევროპის ყველა მეომარმა სახელმწიფომ უნდა აღიაროს, რომ რაც დიდხანს გააგრძელებენ ისინი ომს, იმდენად გაიზრდება რწმენა, რომ დასუსტებული ევროპა ინგრევა და ის დაუთმობს ადგილს უფრო შორსმჭვრეტელ მხარეებს. ეს საერთო სულიერი განწყობილება ცოტათი იცვლება. სამხედრო გამოცდილების თანახმათ უნდა ვიცნოთ, რომ რამდენად დიდხანს გრძელდება ბრძოლა, მით უფრო სერიოზული ხდება საკითხი იმაზე, თუ ვინ უფრო დიდხანს გაუძლებს ომს პოლიტიკურათ, ეკონომიურათ და ფინანსიურათ. ყველა მხარეს თავისი იმედი აქვს. ჩვენი მტრები რომ ჩვენზე მაღლა დგანან სამხედრო ტეხნიკის, გამოცდილების და გამძლეობის მხრივ — ეს თითონ მათ არ სჯერა იმათ იმედი აქვთ ამერიკის ჩარევის, ჩვენთვის კი ყველაფერზე საშინელი ეხლა ამერიკის ფრონტზე გამოსვლაა. ჩვენ მტრებს ავიწყდებათ: მათ კიდევაც რომ წამოიყვანონ ჩვენ წინაალმდეგ ასი ათასი ამერიკელი არ უნდა ივიწყებდენ, რომ ჩვენ დავამარცხეთ მილიონი რუსები, სერბიელები და რუმინელები, რომლებსაც მოკავშირეები ველარ დაიბრუნებენ. 4 წლის განმავლობაში ჩვენ ვიბრძოდით მტრის ტერიტორიაზე და ეხლაც მომხდარ ცვლილებების შემდეგაც ჩვენი ფრონტი შორს არის ჩვენი საზღვრებიდან. წყალქვეშა ომმა არ გაამართლა ჩვენი იმედები, მაგრამ მარტო ჩვენ ხომ არ ვცდილობდით ამ ომში. არა ერთი წელიწადი იბრძოდა ჩვენი ფლოტი მტრის ფლოტის გასანადგურებლათ და ძლიერ დასუსტდა იგი.

# ახალი ამბები.

### მთავრობაში.

◯ ქუთაისის გუბერნიის კომისარი ჩხიკვიშვილი დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის გაძარცვის გამო„ შევიპყრე და ციხეში მოვათავსე კომიტეტის ხაზინადარი მესხი. წევრი გამგეობისა კოპაძე, მდივანი ხანთაძე და მსახური წულეისკირი, რომელთაც ბრალდებათ გაძარცვაში მონაწილეობის მიღება. სხვების ვითარება გამოურკვეველია.

◯ ქუთაისის გუბერნიის კომისარი ჩხიკვიშვილი დეპეშით აცნობებს შინაგან საქმეთა მინისტრს შემდეგს: „სამტრედიის ტრიბუნალმა მიუსაჯა სიკვდილი შარაშიძეს. მაქვს სამხედრო მინისტრის დეპეშა განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ, მაგრამ ბრალმდებელი ბელაზაროვი თქვენ შეგკითხებიათ და თხოულობს კონფირმაციას თქენგან. გთხოვთ მომცეთ უფლება მე კონფირმაციისა, რადგანაც ყოველგვარი რყევა ამგვარ შემთხვევებში უარყოფით შედეგებს იწვევს.

◯ აბასთუმანში სანატორიის დაარსების შესახებ გამართულ თათბირზე, რომელიც შესდგა შრომის სამინისტროში სამკურნალო კასების წარმომადგენელთა მონაწილეობით დაადგინეს: აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა იზრუნოს თფილისის ყველა სამკურნალო კასების შეერთებაზე და გამოარკვიოს სნეულთა საწოლების რაოდენობა. თათბირის მონაწილენი მხურვალეთ შეეგებნენ სამკურნალო კასებისთვის სპეციალურ სანატორიის შექმნადაარსებას.

◯ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ხელში გადავიდა დიდი ნაწილი კერძო ტყეებისა, რომელთა რაოდენობა უდრის 1042000 დეს. მიწას. ამ ტყეების მოსავლელათ მიწადმოქმედების სამინისტრო აარსებს 40 ახალ სატყეო გამგეობას. ამ გამგეთა მოსამზადებლათ სამინისტრო მოკლე ვადიან კურსების მოწყობას აპირებს.

◯ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დეპეშა მიიღო, რომ რუსეთის მთავრობამ იცნო საქართველოს რესპუბლიკა, სხვა რესპუბლიკები ჯერჯერობით მან არ იცნა.

◯ ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ ფრიად სასარგებლოთ სცნო ასანთის (სპიჩკის) მრეწველობის განვითარება და ამ მიზნით გადასწყიტა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს შინა-მრეწველ ამხანაგობას „პრომეთეოსსა„, რომელიც კოლოფ ასანთს (სპიჩკას) 30 კაპ. გაყიდის.

### სახალხო განათლება.

◯ თბილისის სახალხო უნივერსიტეტი გადავიდა ქალაქის გამგეობის ხელში. 25 სექტემბრიდან უნივერსიტეტში იწყება აკადემიური მეცადინეობა. გადაწყვეტილია მოიწვიონ თბილისის ყველა საუკეთესო პროფესორები და ლექტორები. სწავლა იწარმოებს ყველა ენაზე.

◯ სახალხო განათლების სამინისტრომ დიდი ყურადღება მიაქცია თიხის ნაწარმოებთა ხელოსნობის შესწავლას. ამ მიზნით სამინისტრო აწ არსებულ მცხეთის თიხის საჭურჭლო სკოლას აფართოებს და მოწაფეთა რიცხვს ამრავლებს.

### ერობა.

◯ ხაშურ-სურამის საარჩევნო ოლქში № 1 (ს.-დ.) მიუღია 5032 ხმა, № 2 (ს.-ფ.) 215 და № 3 (ერ.-დ.) 127 ხმა.

◯ ტყვიბულის რაიონში საერობო არჩევნები დანიშნულია 29 ენკენისთვეს.

◯ ბელაგორში ასეთივე არჩევნები 15 ენკენისთვეს მოხდა.

◯ გორის მაზრაში არჩევნები დაიწყო 15 ენკენისთვეს და რამდენიმე რაიონში უკვე დასრულდა. საერთოდ მთელ მაზრაში დასრულდება 23 ენკენისთვეს.

◯ სიღნაღში არჩევნები უნდა მომხდარიყო 15 ენკენისთვეს, მაგრამ ჯერ არავითარი ცნობები არ არის.

### ლატარიის გარშემო.

◯ 18 ამ თვეს საპატიო მანდილოსანთა კრება შესდგა. კრებაზე შეიმუშავეს პროგრამა ქ. ტფილისში ლატარიის დღის მოწყობის შესახებ და გაანაწილეს მანდილოსნებს შორის სხვა და სხვა მოვალეობანი. ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე მ. რამიშვილისა. შემდეგი კრებაა დანიშნულია მომავალ შაბათისთვის დღის 12 საათზე

### სხვა და სხვა ამბები.

◯ სახალხო გვარდიის ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა უდრის 26 მილ. მანეთს.

◯ კვირას 14 სექტ. მთავარმა შტაბმა ორთაჭალაში გახსნა ახალი მუშათა კლუბი. ახალკლუბს მიესალმა კარლო ჩხეიძე, ალ. ლომთათიძე და სხვ.

◯ 18 სექტემბერს საღამოს 7 საათზე სოხუმში ბოროტ-მოქმედებმა რევოლვერით მოჰკლა სერგო თედიევი. მკვლელები მიიმალენ.

◯ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 5 ხოლერიანი და 3 საეჭვო ავადმყოფი. სახოლერო განყოფილებაში გადაიყვანეს 6. გარდაიცვალა 5 ხოლერიანი და 1 საეჭვო. სექტემბრის 18-ს იყო 116 ხოლერიანი და 11 საეჭვო.

◯ გარდაიცვალა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი.

◯ სექტემბრის 17, ღამით მოულოდნელათ გარდაიცვალა ეროვნულ საბჭოს წევრი, პედაგოგი ა. ა. მამულაიშვილი. განსვენებული ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი ბელეტრისტი. მას განსაკუთრებულ პატივს სცემდა, როგორც სოც. დემ. პარტია, რომელსაც ის ეკუთვნოდა, აგრეთვე ქართული საზოგადოების ფართო დემოკრატიული ნაწილი.

◯ ბაქოს აღების გამო განჯის სომხებმა განსაკუთრებული დელეგაცია გაგზავნეს ადერბეიჯანის მთავრობასთან მისალოცათ.

# უცხოეთი.

—:—

ფ ი ნ ე თ ი. ფინეთის მთავრობამ გერმანიაში პრინც ფრიდრიხ გესენელს დეპუტაცია გაუგზავნა წინადადებით მიიღოს ფინლიანდიის სამეფო გვირგვინი. პრინცი დასთანხმდა.

—

ა მ ე რ ი კ ა. როგორც ნიუორკის გაზეთები იუწყებიან ამერიკის კონგრესზე შეტანილია პროექტი, რომ გაიწვიონ ყველა 45 წლიანები, რომელთაც კი იარიღის ტარება შეუძლიანთ. გარდა ამისა იქიდანვე ცნობაა, რომ ამერიკასა და ჰოლანდიის შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ჰოლანდია ვალდებულია ყოველწლივ 2 მილიონი გირვანქა შაქარი შეზიდოს ამერიკაში.

—

ჩ ი ნ ე თ ი ბოლშევიკური პრესა იუწყება, რომ სამხრეთ ჩინეთში დაარსდა „საბჭოთა რესპუბლიკა, რომლის კონსტიტუცია ნამდვილი მიბაძვაა რუსეთის საბჭოთა კონსტიტუციისა.


### გ ა მ ო ს ა დ ე გ ი ც ნ ო ბ ე ბ ი

## სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

### კ ა ხ ე თ ი ს რ კ ი ნ ი ს გ ზ ა ზ ე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თელავიდან | დილის | 8 ს. | 28 წ. |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 „ | 14 „ |
| თბილისში „ | საღამოს | 5 „ | — |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 „ | 58 „ |
| გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 „ | 24 „ |
| თელავში „ | საღამოს | 5 „ | — |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 „ | 42 „ |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 „ | — „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუად. | 4 „ | 15 „ |
| წნორის წყალში მიდის | „ | 6 „ | 20 „ |

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

## ქართული შრიფტი.

რუსულ ასოებიან საბეჭდავ მანქანებს ვახალისებ ქართული შრიფტით. მაგალითისთვის ყოველ დროს შეიძლება გადაკეთებული მანქანის გასინჯვა. ს. გერმანი, სახლის ქ. № 2.
691. 10—10.

ამით ვაუქმებ ვექილობის წერილს, რომელიც მივეცი მიხეილ ივანეს ძეს გრიგორიევს და რომელიც შემოწმებულია სოფ. ბეშნორაშენის ნოტარიუსთან 1917 წლის თებერვლის თვეში. არშაკ გიორგის ძე მირზოიანცი. 727 3-2

დავკარგე ტფილისის კერძო ლომბარდის კვიტანცია № 75903—250 მ. ი. მ. 736 (3—3)

ბ. ონისიმოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო ბანკის „Сохранные“ ხელწერილები № № 3301, 3303, 3571, 3572 და შემნახველი კასის წიგნაკი № 47735.
737 3—2

სერგი მიხეილის ძე ლოტოევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თამასუქი 10.000 მან., მიცემული მასზე და ანდრია არსენის ძე ისიჩენკოზე ხორენ იაკობის ძე ტერ-აბრამოვის მიერ 3 სექტ. 1918 წ. 750 3-2

კავკასიის ფრონტის მესამე უბნის საქმეების ცალკე ხელმძღვანელის გამგეობა ამითი აცხადებს მოსამსახურეთა და მოიჯარადრეთა საყურადღებოდ, რომ ლიკვიდაცია შეწყვეტილია. იმისი მოწმობანი, მოსამსახურეთა და მოიჯარადრეთა შორის ვისაც რა ერგება, გაგზავნილია საქართველოს ჯარის საინჟინერო-სატეხნიკო ნაწილის ინსპექტორის გამგეობაში, საიდანაც მსურველთ შეუძლიათ მიიღონ.
738 (3—2)

დაიკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 75343 150 მანეთისა და პასპორტი. 761 (3—2)

სოფ. საგარეჯოში

ხოლერის გაჩენის გამო

საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ როგორც საგარეჯოში ისე მახლობელ სოფლებში აკრძალულია ნახმარ ტანისამოსის, ხალიჩების და სხვა ძველ ნივთების შემოტანა. ვისაც ამგვარი აღმოაჩნდება, ჩამოერთმევა და დაიწვარ იქნება.
საგარეჯოს აღმასრულებელი კომიტეტი.
433 10—1

ნავთლუღის რკინის გზის რაიონის მილიციის უფროსი აცხადებს: 15 და 16 ენკენისთვეს ამა 1918 წ. ღამის სამ საათზე სადგურ ნავთლუხის უკან მილიციონერებმა იპოვეს საეჭვოთ მიბმული ცხენი, ლაგმით და შესაბმელად გამოწყობილი. ცხენი რუხი ფერისაა და უკანა მარჯვენა ფეხზე თეთრი ნიშანი აქვს. პატრონს შეუძლია მოიკითხოს ნავთლუხის რკინის გზის რაიონის მილიციის უფროსის კანცელარიაში.

დავკარგე ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ უვადო პასპორტი და მედიატორული განჩინებ მნახველს ვთხოვ დამიბრუნოს დოკუმენტები. მისამართი: მე-11 ნაწილში, აფანასევის ქუჩა, სახლი, № 40, იასონ ისიდორეს ძე რუხაძე.
763 3—1

სიღნაღის მაზრის კომისარიატი ამით აცხადებს, რომ ქ. სიღნაღის მცხოვრებმა გიორგი ზაქარიას ძე გოგოსაშვილმა დაჰკარგა შემდეგი დოკუმენტები: სახელოსნო სასწავლებლის ატესტატი, სამასწავლებლო მოწმობა, საზღვაო სასწავლებლის მოწმობა, მპოვნელი ზემოაღნიშნულ დოკუმენტებისა მოვალეა წარმოადგინოს სიღნაღის სამაზრო კომისარიატში.
432 3—1


მთავრობის სტამბა. რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.